საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი, 3 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ—ის ფასი: 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 25 მან. [illegible] განცხადება უნდა მოიტანონ არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთ [illegible] რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ვერც ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავ მიწერ-მოწერას კისრულობს.

[illegible] წერილები ყველა შემდეგ [illegible] უნდა გამოიგზავნოს: თფილისი, [illegible] ქუჩა № 19 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, [illegible] № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 75 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 75

გულდაწყვეტილი მშობლები: ქრისტეფორე ლაზარეს ძე და მელანია გრიგორის ასული, მეუღლე ოლღა, რძალი საშა, ძმები ივანე და სამსონი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

სიმონ (სიკო) ქრისტეფორეს ძე ივანიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 ს. დაკრძალვა ხუთშაბათს 3 აპრილს, გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ჩუღურეთის შეს. № 16) ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული სიძე გიორგი ზაქარიას ძე, და ბაბო (ვარო) ქრისტეფორეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარის

სიმონ (სიკო) ქრისტეფორის ძე ივანიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 3 აპრილს საკუთარ ბინიდან (ჩუღურეთის შესახვევი № 16) ქაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—2)

მცხეთის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხანაგებს, რომ ყაჩაღებთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი

ალექსანდრე ივანეს ძე ლაშხაური

დაკრძალვა მოხდება ს. მცხეთაში 3 აპრილს.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქესარია, რძალი ევდოკია და ცოლის ძმა ილიკო ეძგვერაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

სერგო კინწურაშვილისას

დასაფლავება პარასკევს, 4 აპრილს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება პეტროვის ქუჩა № 7 დილის 9 საათზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ევდოკია შვილებით, სიძეებით და რძლით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ აპრილის 1, ნაშუადღევს გარდაიცვალა დაუვიწყარი

ექვთიმე ჩირგაძე

პანაშვიდი რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოში დღეს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, აპრილის 4, დიდუბის სასაფლაოზე ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. (2—1)

ანა და შალვა შარაშიძეები აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ ძვირფასი და სიმამრის

ექვთიმე ჩირგაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოში. დაკრძალვა პარასკევს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე დიდუბის სასაფლაოზე (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილი ბარბალე და სიძე კოტე ბუჩიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასისა მამისა და სიმამრის

ექვთიმე ჩირგაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოში ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა 4 აპრილს პარასკევს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1)

პური

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა ამით აუწყებს ყველა ქარხნების, სახელოსნოთ, საზოგადოებრივ და სხვა დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ახლა მომავალში განყოფილება შეუდგება იაფ-ფასიან პურის გაცემას ზემო აღნიშნულ დაწესებულებათა მომუშავეთა და მოსამსახურეთა შორის.

ამისთვის საჭიროა სულ მოკლე ხანში წარმოდგენილ იქმნას სასურსათო განყოფილების პურის ბიუროში მომუშავეთა და მოსამსახურეთა სიები, თან ნაჩვენები უნდა იქმნას რიცხვი მათი ოჯახური შემადგენლობისა. სიები შემოწმებული უნდა იქმნან ბეჭდის დასმით დაწესებულებათა პასუხისმგებელ პირების მიერ. ქარხნების მომუშავეთა სიები შემოწმებული უნდა იქმნან მათი პროფესიონალური კავშირის გამგეობის მიერ.

(3—2) სასურ. განყოფილება ქალაქის თვით. გამგეობისა.

პარტიული მუშაობა

განსაკუთრებულ პირობებში უხდება მუშაობა საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას: ეს უკანასკნელი ეყრდნობა ხალხის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობის ნდობას, თვით დამფუძნებელი კრებაც თავისი შემადგენლობით მთელი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველია. ეს გარემოება კი ქმნის მკვიდრ საფუძველს დღევანდელი მუშაობისათვის, რადგან ადგილი არ აქვს რყევას და ცვალებადობას, რაც ასე ახასიათებს სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებას.

ჩვენში თითქმის მთელი ხალხი, მისი 9 მეათედი სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ ხაზს მისდევს, მის სამოქმედო პროგრამას იზიარებს. ეს გარემოება თავის მხრივ დიდ მოვალეობას აკისრებს ჩვენს პარტიას საერთოდ, კერძოთ მის ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ, თუ რათ მოგვყვება ჩვენ მთელი ხალხი: ჩვენ ნდობას გვიცხადებენ არა მარტო იმისთვის, რომ სოციალისტები ვართ, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი მოღვაწეობა საუკეთესოთ უზრუნველყოფს დემოკრატიის ინტერესებს. არა მარტო მუშათა კლასი, წვრილი ინტელიგენცია და საერთოდ წვრილი ხალხი, არამედ ყველა ის წრეები, რომელნიც ძველი წყობილებით იტანჯებოდენ, ჩვენს პარტიას აფარებდენ თავს, რადგანაც მხოლოდ ჩვენი პარტია იცავდა ყველა მაშვრალთ და ტვირთ მძიმეთ და იცავდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით. მხოლოდ ჩვენი პარტია გახდა დღეს ცხოვრების მესვეური და მისი მომწყობი. და პარტიამ დაუფასებელი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს ღვაწლი რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა დასანგრევი იყო ძველი წყობის მიერ ნაანდერძევი დაწესებულებები.

მაგრამ, სამწუხაროთ, ამ საქმემ შთანთქა პარტიის საუკეთესო ძალები და დიდი ენერგია შეიწირა. ამ გარემოებამ კი გამოიწვია პარტიულ მუშაობის შეფერხება და პარტიის საპროპაგანდო-სააგიტაციო აპარატის მოდუნება. გარდა ამისა შეიცვალა ცხოვრების პირობები და პარტიულ ორგანიზაციების სახელმწიფოებრივმა მუშაობამ სულ სხვა სახე და მიმართულება მიიღო. პირველ ხანებში, როცა ძველი ინგრეოდა და ახალი იყო ასაშენებელი ადგილობრივ პარტიულ ამხანაგების მუშაობა აუცილებელი იყო, რადგან ეს ამხანაგები წარმოადგენდენ ერთად-ერთ მოძრავ, ცოცხალ ძალას. მაგრამ, როცა ეს ნგრევის პროცესი ასე თუ ისე დასრულდა, როცა აღმშენებლობითი მუშაობა მკვიდრ ნიადაგზე დადგა, როცა ჩვენ გავიჩინეთ ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო პარლამენტი და შემდეგ ხალხის უზენაეს ნება სურვილების გამომხატველი დემოკრატიულის წესით არჩეული დამფუძნებელი კრება—პარტიულ ამხანაგების ჩარევა მართვა-გამგეობის საქმეში მეტი გახდა და საქმის დამაბრკოლებელი. მით უმეტეს, რომ ჩვენ ადგილობრივ უკვე გვაქვს დემოკრატიულად მოწყობილი ერობა, რომელიც არა მარტო სამეურნეო ორგანიზაციაა, არამედ ცენტრალური მთავრობის ადგილობრივი ორგანო.

ასეთ პირობებში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების ჩარევა მართვა-გამგეობის საქმეში საშინელ არევ დარევას იწვევს, ქმნის მრავალ მთავრობიანობას, სახელს უტეხს ხალხის თვალში ცენტრალურ მთავრობას და ერობას და ადუნებს მათ საქმიანობას. ეს გარემოება კარგათ გაითვალისწინა მეორე სოც.-დემ. ყრილობამ, რომელმაც ცალკე რეზოლიუციით აუკრძალა ადგილობრივ ორგანიზაციებს მართვა-გამგეობის საქმეში ჩარევა.

სამწუხაროთ, ამ დადგენილებას არ ასრულებს ზოგი ადგილობრივი ორგანიზაცია, განსაკუთრებით სასოფლო კოლექტივები. მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტია მართველი პარტია გახდა, ბევრი საეჭვო პირი მოაწყდა მის ორგანიზაციებს, იქ შეაფარა თავი და ეს ორგანიზაციები გაიხადა იმ ბაზად, საიდანაც თავის ბნელ საქმეების მოგვარებას ცდილობს. და რადგან მას არც შეძლება და არც სურვილი აქვს პარტიული პროპაგანდა—აგიტაცია გასწიოს, ამიტომ ის მართველობის აპარატს ეპოტინება. ჩვენ ვიცით, მაგალითად, შემთხვევა, როცა პარტიული კოლექტივი პრაქტიკულ ზომებს იმუშავებს ყაჩაღების დასაჭერად ან ამა თუ იმ პირს იარაღს ართმევს და მიუხედავად სათანადო ადმინისტრაციის განკარგულებისა ამ იარაღს უკან არ უბრუნებს პატრონს.

საჭიროა ეს ბოროტება მოისპოს, საჭიროა ყველა ამხანაგებმა შეიგნონ, რომ მათი მოვალეობაა საერთო პარტიულ ხაზის გატარება და არა პირდაპირ ჩარევა მთავრობის დაწესებულებათა განკარგულებებში. უმაღლესმა პარტიულმა ორგანოებმა კი სასტიკათ უნდა ადევნონ თვალ ყური ასეთ მოქმედებას და დამნაშავენი დასაჯონ.

ჩვენ გვესაჭიროება წმინდა პარტიულ მუშაობის წარმოება, პროპაგანდა-აგიტაციის გაძლიერება, შეგნებულ წევრთა რიცხვის გამრავლება და ორგანიზაციების შეკვრა. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების და ამხანაგების მეცადინეობა.

ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

პრესა

„აშხატავორი“ საქართველოს მთავრობის მოქმედებაში ერთი ცხოველივით ეძებს ნაკლს, სიცუდეს. და ამ მიზნით ხშირათ თვით ქმნის წუნებს, იგონებს მას, რომ შემდეგ ჩვენ მოგვახვიოს თავზე.

მის ლანძღვის წერილებს და ქუჩურ კილოს უკვე შევეჩვიეთ. არა ერთი მაგალითი მოგვიყვანია.

ახლაც ის ასეთ კილოთი ილანძღება. მაგრამ მკითხველს არ შევაწუხებთ მისი სიტყვების მოყვანით.

მხოლოდ აღვნიშნავთ სიყალბეს, რომელსაც ის ჩადის.

„აშხატავორი“ სწერს:

„დღეს ჩვენ ვუთითებთ ახალციხის ოლქის კომენდანტის თვითნებობაზე ეკონომიურად და ზნეობრივად აწეწილ ლტოლვილების შესახებ“.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს კომენდანტის ერთი განკარგულება გამოცემული მარტის 28-ში, რომელშიაც ნათქვამია:

„ახალციხის და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებლებმა უნდა სამი დღის განმავლობაში დასტოვონ ქალაქი ახალციხე, რადგან ზემოხსენებული მაზრები მტრისაგან გაწმენდილია. არ შემსრულებელნი ამ ბრძანებისა დაისჯებიან 300—500 მანეთით. ამ განკარგულებაზე ხელი უწერია გენერალ-მაიორს რატიშვილს და მის ადიუტანტს როტმისტრს ამილახვარს. გაზეთი დასძენს:

„ამისთანა განკარგულება შეეფერება მხოლოდ მეფის მთავრობას. ისინი მხედველობაში არ იღებდნენ ხალხის ელემენტარულ ინტერესებს და ხალხის ბედიღბალს თავიანთ თვითნებობის საგნათ ხდიდნენ. ნუთუ შეუძლია მაინცამაინც ეგრეთ წოდებულ დემოკრატ მინისტრებმა, რომ თავიანთ თვალ წინ ამისთანა განკარგულება გამოსცენ“!

და შემდეგ ისევ მაგარი სიტყვების მოყოლებული. დაშნაკელებს რა აწუხებს? ის, რომ ახალციხის სომხების ნაწილმა მაინც მუხანათობა გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკისადმი და ახლა უნდა ეს მუხანათობა ჩვენი ადმინისტრაციის და ჯარის გალანძღვით დაფაროს.

მართლაც, რას შეიცავს 28 მარტის განკარგულება? იგი უბრუნებს ლტოლვილებს, მაზრა განთავისუფლებულია და სოფლებს დაუბრუნდითო. იგი მოითხოვს ქალაქის გაწმენდას, რომელიც ჯერ ისევ მზათაა შემდეგ ოპერაციებისთვის.

ნუ თუ ამის უფლება არ აქვს კომენდანტს?

მაგრამ „საქართველოს მოსიყვარულე“ „აშხატავორს“ უნდა მხოლოდ ხელის შეშლა ჯარისათვის ისე, როგორც ახალციხელ სომხების მეთაურებს.

დროა ამ დაუსრულებელ ინსინუაციებს თავი დაანებოს „აშხატავორმა“ და აშკარათ თქვას ის, რაც გულში უდევს. პატიოსან მტერს ჩვენ ვაფასებთ, შემპარავი კი მხოლოდ ზიზღს იწვევს ჩვენში. ნუ თუ „აშხატავორს“ სურს უკანასკნელს დაემსგავსოს?

მუშათა დეპუტატების საბჭო და დაშნაკელები

„აშხატავორი“ (№ 63) მოწინავე წერილში, სათაურით—„საფრთხობელა“—სწერს:

„რევოლიუციის პირველი თვეების შემდეგ ქართველმა სოციალ-შოვინისტებმა საჭიროთ დაინახეს, რომ გაეუქმონ შეკავშირებული მშრომელი კლასის წარმომადგენლების საბჭოები და სიკვდილით დასაჯეს ადგილობრივი მხედრების და მშრომლების საბჭოები. მენშევიკურ ცარიზმისთვის საჭირო იყო თვითმპყრობელობა და ამისთვის იმათ მსხვერპლად მიიტანეს ყველაფერი, დაწყებული თავიანთ წარსულიდან—პრინციპები და პროგრამის ნაკარნახევი. და ყოველთვის, როცა ეპირფებათ დაამახინჯონ ფაქტები და დემოკრატიის სახელი მთავრობის კონტრრევოლიუციონური ნაბიჯების და მუხანათური მოქმედებისა გაამართლონ, იმ წამსვე გამოცდილი რეჟისორის ინსტრუქციით წინ მიდის ეს საფრთხობელა—მუშათა საბჭო და ათვალიერებს სცენაზე მომხდარ მასხარაობას, თანახმად ბრძანებისა ტაშს უკრავს ყველაფერს, რასაც კი ამბობენ თავიანთი „ტავარიშჩი“ მინისტრები, თუნდაც შეიგნონ, რომ ყველაფერი ძალიან და ძალიან შორს არის სინამდვილისაგან.

„ამ საბჭოს აღმასრულებელი საცოდავი და სასირცხვილო როლი უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სხდომებში მონაწილეობის მიღებას ნებას აძლევენ საბჭოს „სანდო“ წევრებს...

„წინდაწინ ეკითხებიან თავმჯდომარეს,—თუ „იანც“, ან „ოგ“ გვარის მქონე კაცები მოიწვიონ, თუ არა?..

„აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ეს საბჭო წელიწადზე მეტია, რაც დაიბადა მენშევიკურ სარდაფში დარჩენის შემდეგ.

„აი ეს საფრთხობელა იყო, რომელიც მოიწვიეს სოციალ-შოვინისტებმა „ოპრიჩნიკების“ მფარველობის ქვეშ. სცენაზე შეასრულეს თავიანთი საზიზღარი როლი, მიიღეს რამდენიმე ტაში, წინდაწინ დაწერილ ფორმულებს კენჭი უყარეს და ესე მიიღეს „მშრომელთა პარლამენტის“ ხელმოწერით ქალაქის მოსამსახურეთა შესავიწროებლად.

„ამას იქით ადმინისტრატიულ ვაკხანალიას ბოლო არ ექნება. შეიარაღებულმა „ოპრიჩნიკებმა“ და მილიციამ აკრძალეს ყველა კრებები და ლექციები... ბატონი მინისტრების სიდინჯის უზრუნველსაყოფად.

„და სახელმწიფოებრივი პრესა კმაყოფილებით აგრძელებს თავის პროვოკაციას რევოლიუციონური მშრომელი ხალხის მისამართით.

„ძლივს თუ რომელიმე დროს და რომელიმე ადგილას პარტიას მიუღწევია ამისთანა აშკარა ცინიზმამდე და სასირცხვილო დაცემამდე, როგორც ქართულმა მენშევიზმმა მიაღწია. და როცა „ბორბა“-ს კალმოსნები სწერენ საქვეყნოთ თავიანთ ბრწყინვალე გამარჯვებაზე „მშრომელი ხალხის პარლამენტში“, ჩვენ ამაზე ვიტყვით: რამდენათ კარგია ეს მინისტრებისთვის, იმდენათ ცუდია მშრომელი ხალხისთვის.

„განაგრძეთ თქვენი ჯამბაზობა იმ დრომდე, ვიდრე ჩავარდებოდეთ თქვენ მიერ ამოთხრილ ორმოში“.

ჩვენ არას ვიტყვით ამ ბალღამით სავსე წერილზე. თვით საბჭოს და მუშებს შეუძლიათ ადვილათ იცნონ რა არსებასთან აქვთ საქმე „აშხატავორის“ და დაშნაკელების სახით.

მუშათა წერილები

თანამედროვე მაქსიმალიზმი.

მსოფლიო ომმა თავისი ცვლილება შეიტანა ცხოვრების ყოველ დარგში და მისი საშინელი შედეგები განსაკუთრებით მუშათა კლასს დაატყდა თავს. წარმოების დაცემამ და ეკონომიური ურთიერთობის არევ დარევამ მასიური კრიზისები გამოიწვია.

მსოფლიო ომის მიწურულში კაცობრიობამ სამოქალაქო ომების, რევოლიუციების და საარაკო ანარქიების ეპოქას მიაღწია. როგორც ომის ხანგრძლივმა მსვლელობამ, ისე თანამედროვე ევროპის ნერვიანმა ურთიერთობამ კიდევ უფრო გააუარესა ეკონომიური ცხოვრების განვითარება და მის ძლევა-მოსილ იერიშებს დროებით წერტილი დაუსვა.

ასეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც მეტათ ძნელია თანამედროვე მოვლენების ახსნა და ნათელი წარმოდგენა სახვალიო მსოფლიოზე, საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე თავს იყრის დიდი პრობლემები.

ისეთ დროს, როდესაც ქვეყანა ანარქიის ქარ-ცეცხლშია გახვეული, მუშათა კლასში თავს იჩენს ორი მიმდინარეობა, ორი მსოფლ-მხედველობა; რევოლიუციონერობა და უკიდურესობა, მარქსიზმი და ანარქიზმი; კლასიური პოლიტიკით შეიარაღებული პროლეტარულ მოძრაობის განწყობილება და შურის ძიების გრძნობით გამსჭვალული ლტოლვილება დიქტატურისადმი.

შეგნებული პროლეტარიატი, რომლის გამოცდილება, მომზადება განისაზღვრება თვითგამორკვევით და მეცნიერული სოციალიზმის შეთვისებით, წინააღმდეგია დროს შეუფერებელი გამოსვლების.

თანამედროვე მსოფლიო რევოლიუციების მაქსიმალისტური მიმდინარეობა აიხსნება ხანგრძლივ ომის მიერ გამოწვეული მოვლენებით. ის რევოლიუციები, რომლის მოწამენი დღევანდელი კაცობრიობა გახდა, დამაფიქრებელია იმ გარემოებით, რომ რევოლიუციები მოხდა იმ ქვეყნებში, რომლებმაც საერთაშორისო ომში დამარცხებანი განიცადეს. ისტორიაში მსგავსი მაგალითები ცნობილია. პარიზის პროლეტარიატის დიქტატურა, პარიზის კომუნა მოჰყვა სედანთან საფრანგეთის არმიის დამარცხებას, სედანის სამხედრო ტრაღედიას. პრუსიის მილიტარიზმის დასავლეთის ფრონტზე დამარცხებას კი გერმანიის რკინის დინასტიის ბატონობის მოსპობა. ალყა შემორტყმული გერმანია, ომისაგან დაქანცული, სამრეწველო ცხოვრება მოდუნებული, მოწინააღმდეგეთაგან ირგვლივ აყრილი, შიმშილისაგან დასუსტებული სამოქალაქო ომის ქარიშხალშია. უკმაყოფილებამ, ბრძოლის ველზე მიღებულ დამარცხებამ, შიმშილმა და უმუშევრობამ სპარტაკულ მოძრაობაში ჰპოვა განსახიერება და ძლიერი დიქტატორული ნაბიჯით მიაქანებს გერმანიას მაქსიმალიზმისაკენ. მსოფლიოს წინაშე ახალი პერსპექტივები იშლებიან და ჩვენ არ ვიცით ხვალ როგორია იქნება საერთაშორისო მდგომარეობა. მოსალოდნელია თანამედროვე მოძრაობამ მიიღოს საერთო სახე, მიაღწიოს განვითარების უმაღლეს წერტილს და მსოფლიოს მასშტაბით წინ წაიწიოს.

ისტორიული ამოცანები კაცობრიობას წინ უყენებს თანამედროვე ცხოვრების გარკვეულით მიდგმის კითხვას. შესძლებს განსაზღვრულ აუცილებლობის შეთვისებას კაცობრიობა, თუ მას სტიქიური ვულკანი შორს გადაუძახებს, ამაზე წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენებში, როგორც ევროპაში ისე ჩვენში პროლეტარიატის ვალია გარკვეული პოლიტიკა დაიჭიროს, რადგანაც საზოგადოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეერთებულ-შეგნებულ მუშათა მოძრაობას.

გასულ წელს ჩრდილოეთის სუსხმა ბოლშევიკური მოძრაობის დევიზით გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ჩამორჩენილ სოფლებში. სოფელი „კომუნიზმის“ დროშით მოგვევლინა.

რყევას განიცდის ბოლშევიკურათ განწყობილი ნაწილი და ჩვენი გარდამავალი პარტიები; ესერები და ფედერალისტები. ევროპის ამბებს თავისებურ დასკვნებს უკეთებენ და ჩვენ, ვისაც ისტორიამ დაეკისრა ბრძოლა სოციალიზმისათვის, მოწიწებით გვაუწყებენ „ახალ ამბავს“ და ჩვენს საკუთარ საქმიანობაში გვერევიან.

სოციალიზმის განსახორციელებლათ მოწოდებული კლასი—პროლეტარიატი, მით განსხვავდება გარდამავალ კლასებისაგან, რომ თავის ბრძოლის მეთოდს, თავის კლასობრივ მოთხოვნილებას უკავშირებს საზოგადოებრივ განვითარებას და არა ცდაზე და სურვილებზე დამყარებულ ფსიხოლოგიურ გატაცებას.

ჩვენებური „ფედერალიზმი“, რომელიც 1905 წელში ნაციონალიზმის დროშით მოგვევლინა, რეაქციის დროს თავისი ბუდე მონახა, დღეს „კომუნიზმის“ სახით გამოჩნდა და რუსულ ბოლშევიზმის პოლიტიკას დაადგა. ეს შედეგია გზააბნეულობის, უკლასოთ, უმიზნოთ გაჩენილ მიმავალ პარტიის ტრაღიკულ ბედისა და რადგანაც მიმავალია, ეპატიება. ბოლშევიკური ტაქტიკით ბრძოლის წარმოება ადვილია, ცხოვრების რთულ საიდუმლოების ახსნა, მისი შესწავლა და მოწესრიგება ძნელი. შექმნილი კრიზისებით ამბოხების მოწყობა, ანარქიის გაჩაღება ყველას შეუძლია, კრიზისებით თავიდან აცდენა, მისი განელება და ნორმალური ცხოვრების დამკვიდრება ყველასათვის საძნელოა.

პირველი გზა ეწინააღმდეგება შეგნებულ მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის უარმყოფელია, მეორე გზა ნარ-ეკლით მოფენილია, მაგრამ მისთვის ბრძოლა მუშათა კლასის საქმეა.

უტოპიური სოციალიზმი მეცნიერულმა სოციალიზმმა განდევნა ევროპის წარსულ მოძრაობიდან. მეცნიერულმა სოციალიზმმა უნდა დაიმორჩილოს თანამედროვე ანარქიზმი, რომელმაც [illegible] ჩაიგდო სოციალური პოლიტიკური მოძრაობის ბედი.

ევროპის მუშათა კლასმა ეს მისია უნდა აასრულოს. ჩვენ, მუშებმა, ამ ცვლილების დროს ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ, მიღწეულ პოზიციებს [illegible], დემოკრატიულ მოძრაობას მკვიდრი საფუძველი ავუგოთ. რეაქცია ნუ შეგვაშინებს, ნურც ანარქიზმი გაგვიტაცებს; და როცა წინ მივდივართ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ენგელსის უკვდავი სიტყვები; „შეგნებულ მუშათა კლასის ვალია ფრთხილი ორგანიზაციული მუშაობა, ეკონომიური ძალთა განწყობილების პოლიტიკასთან [illegible] შეწყობილი ბრძოლა. დაპყრობა იმ პოზიციების, რომლის შერჩენა გამტკიცება შეიძლება, რომ ამით მტკიცე ნიადაგი მოვუმზადოთ საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობას სოციალიზმის გასამარჯვებლათ“.

ანანია.

დღეს

ჩრდილო კავკასიაში მთიელთა მთავრობის ჯარებსა და მოხალისეთა შორის სასტიკი ბრძოლაა. უკანასკნელი ცნობით გენ. დენიკინის ჯარს დიდი ზარალით გროზნისკენ დაახევინეს.

ვილსონი და ლოიდ ჯორჯი შეთანხმდენ შემდეგში: შეუძლებელია დანციგი გადაეცეს პოლონეთს. გარდა ელზას ლორენისა, საფრანგეთს გერმანიის ტერიტორიის არც ერთი ნაწილი არ დაეთმობა. თუ საფრანგეთმა არ მიიღო ეს პირობები, მოსალოდნელია სერიოზული განხეთქილება.

ჟორესის მკვლელი გაამართლეს. საფრანგეთის სოციალისტები პროფესიონალურ კავშირებთან ერთად პროტესტს აცხადებენ ამის გამო.

მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ტროცკის მიერ გაკეთებულ მოხსენების თანახმად მდგომარეობა ყველა ფრონტებზე კარგია. საბჭოთა ჯარმა აიღო მარიუპოლი და მალე დაიკავებს ოდესას.

ბოლშევიკების ცნობით კოლჩაკის, დენიკინის და მოკავშირეთა აგენტები შეეცადენ პეტროგრადში აეფეთქებინათ წყლის სადენი სადგური.

უკანასკნელი ცნობები

ბრძოლა მთიელთა და დენიკინის ჯარებს შორის.

საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელ ქარცივაძისაგან ბაქოდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„მივიღე ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირის ნოტა, რომლითაც იტყობინებიან, რომ მთიელთა კავშირის მთავრობა იძულებული არის მიიღოს ზომები მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ, რომელიც შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე. ნოტასთან ერთად მე მივიღე სანდრო მოხსენების ასლი ჩეჩნეთის ოლქის ჯარების უფროსისა, რომლითაც ის იტყობინებს თავის მთავრობას, რომ სალამის მტერი უკვე მოგერიებულ იქნა ყველა ფრონტებზე.

ალხან ჯურტის რაიონში მტერს გუშინ და დღეს დიდი ზიანი მივაყენეთ. ხელთ ვიგდეთ სამი ტყვიისმფრქვეველი, ორი ზარბაზანი, ათი ფურგონი ტყვია-წამლით დატვირთული. ახხო მარტანის რაიონში მტერი ლამობდა ჩვენი საზღვრების გადმოლახვას, მტერი ჩვენ მიერ შეჩერებულ იქნა. ბერგუნკელის და ურუს-მარტანის რაიონებში ჩვენ კონტრ-შეტევით მოვიგერიეთ მტერი და უკუ ვაქციეთ ქალ. გროზნისკენ. ჩვენ მხრით დავკარგეთ 50 კაცამდი. მოწინააღმდეგემ დაჰკარგა შვიდასამდე. ალხან ჯურტის რაიონში მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 500 კაცამდე მოკლული, სხვა რაიონებში—200 კაცამდე. მდგომარეობა ჩვენი მტკიცეა, მთიდან მოგვეშველენ ახალი ძალები, რეგულიარული ნაწილები [illegible] მოქმედებენ“.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

2 აპრილი

საზღვარგარეთული პრესის ცნობები.

დროებითი ზავის გერმანიის კომისიის თავმჯდომარე ერცბერგერი გერმანიის მთავრობამ გერმანია პოლონეთს შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტად რწმუნებულად დანიშნა, ამის გამო მთავრობამ მარშალ ფოშს შემდეგი ნოტა გაუგზავნა: „ცენტრალურმა სამინისტრომ თავის რწმუნებულად დანიშნა ერცბერგერი, რომელიც იგზავნება ქ. სპაში, სადაც 3 აპრილს მოლაპარაკება უნდა გაიმართოს.

ვენასა და ბერლინს შუა ტელეფონი ჯერ აღდგენილი არ არის. ვენაში ამ ჟამად ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ უნგრეთის მოძრაობას უფრო ეროვნული ხასიათი აქვს, ვიდრე ბოლშევიკური.

ვენაში მუშათა ყრილობაზე ფრიდრიხ ადლერმა განაცხადა, რომ გერმანიისა და ავსტრიისთვის ამ ჟამად შეუძლებელია ბოლშევიკურ უნგრეთთან შეერთება. ამ განცხადებამ როგორც ჩანს დააწყნარა მასა.

ბუდაპეშტში ციხეში ჩასვეს გრაფი გიულა კაროლი, რომელიც ითვლება თვალსაჩინო მუშაკად კონტრ-რევოლიუციონურ მაგნატთა შორის. უნგრეთში მომხდარ ცვლილებების გამო ის იძულებული იყო დიდი სპეკულიაცია დაეწყო ვენის ბირჟაზე.

მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარებმა ცეგედინისკენ დაიხიეს. სამხედრო კომისიამ და ამერიკელ ოფიცრებმა სრულიად მიატოვეს ბუდაპეშტი.

უნგრეთის სოც.-დემ. და კომუნისტურ პარტიების გაერთიანება შემდეგ პირობებით მოხდა: 1) მთელი ძალა-უფლება პროლეტარიატს; 2) პროლეტარიატი უნდა შეიარაღდეს, ბურჟუაზია უნდა განიარაღდეს; 3) უნდა შესდგეს მუშათა არმია; 4) ძალა-უფლება ე დღეიდან მუშათა, ჯარისკაცთა და პროლეტარ გლეხთა საბჭოებს; 5) მიწა საყოველთაო კუთვნილებას შეადგენს. მიწა არ უნდა დანაწილდეს, ის საერთო ძალღონით უნდა იქნეს დამუშავებული; 6) ფაბრიკა-ქარხნების, გზების და რკინის გზების სოციალიზაცია უნდა მოხდეს და 7) ეკლესიის სახელმწიფოსაგან დაუყოვნებლივ ჩამოშორება.

შვეიცარიის პოლიტიკურ დეპარტამენტის უფროსმა კალონდერმა მიიწვია მოკავშირეთა ელჩი, რომლის წინაშე დიდი შიში გამოსთქვა ნამდვილ ზავის შეკვრის გამო. მან განუცხადა ელჩს, რომ იგი არ ერევა სხვის საქმეებში, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ ამ ზავს შესაძლებელია დიდი შედეგები მოჰყვეს შვეიცარიისთვისაც. ცოტათ თუ ბევრათ ყველა სახელმწიფოები დაინტერესებულია იმაში, რომ ბოლშევიზმი აღარ გავრცელდეს. ზავის დაყოვნებასთან ერთად იზრდება ბოლშევიზმის საფრთხეც.

ინგლისური პრესის ცნობები.

თემთა პალატაში ჰარმსუორთმა განაცხადა: საკმაო საბუთია იმისა, რომ ბოლშევიკები სისტემაში შემოიღებენ არა ბოლშევიკთა მძევლებით წაყვანას და მათ ხოცვას, ასეთ შემთხვევაში გამონაკლისი არ იქნებიან ქალები და ბავშვები. მთავრობას ცნობები აქვს, რომ იმ ოფიცერთა ცოლები და ბავშვები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ბოლშევიკებს შეუერთდნენ, ბოლშევიკებმა მძევლებად წაიყვანეს და თუ ოფიცრები ჯარიდან გაიქცევიან, მათ ცოლ-შვილს დააპატიმრებენ და საჭმელს აღარ მისცემენ.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირენი აპირებენ საჭირო ზომები მიიღონ, რათა რუსეთიდან ბოლშევიზმი პოლონეთში არ გადავიდეს, ყველაფერი იქნება გაკეთებული, რომ პოლონეთს შეეძლოს დაიცვას დამოუკიდებლობის საზღვრები. [illegible] სურსათს გაუგზავნიან პოლონეთს. ეს პირველი ნაბიჯია ბოლშევიკებისაგან დასაცავად. საფრანგეთის მთავრობა გენ. პილსუდსკის გაუგზავნის გენ. ჰენრის, როგორც ტექნიკურ მრჩეველს.

27 მარტს მოკავშირეებმა დროებითი ზავის გერმანიის კომისიას გაუგზავნეს ნოტა, რომლითაც ითხოვენ ნებართვას, რომ პოლონეთის ჯარი დანციგში იქნეს გადმოსხმული და პოლონეთში გაუშვან იქ წესიერების აღსადგენათ. გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ დროებითი ზავის პირობებით ნება დართულია მოკავშირეთა [illegible] თავისუფალი შესვლა წესიერების აღსადგენათ, მაგრამ ეს არ ეხება პოლონელებს. გერმანელებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ დანციგის მეციხოვნე ჯარი და ნაპირის გასწვრივ ზარბაზნები დადგან. „ტაიმსი“ ამბობს, რომ გერმანიას სამხედრო მიზნები არა აქვს, მას აქვს მხოლოდ პოლიტიკური მიზნები და უშინიან, რომ პოლონურ დივიზიების გავლით პოლონეთიდან დანციგამდე ტერიტორია არ დაიპყრან პოლონელებმა და ამნაირად კონფერენციას არ დაასწრონ ტერიტორიის ამ ნაწილის ბედის გადაწყვეტა. რასაკვირველია, მოკავშირენი დიდი ნებით განაგრძობენ თავის მოთხოვნას, რომ დანციგზე გაატარონ პოლონელები.

შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო კომისიამ დაამთავრა თავისი მოხსენება, რომელსაც ძირითადად შემდეგი აქვს სახე: 1) სამუშაო დღის 8 საათით შეზღუდვა; 2) ყოველი მუშის უფლება ხელფასის მინიმუმზე; 3) თანასწორი ხელფასი მამაკაცებისთვის და ქალებისთვის ერთი და იგივე დარგის და რაოდენობის სამუშაოზე; 4) არ უნდა იყოს დაქირავებული 14 წლის ყმაწვილი ბავშვი; 5) 14—18 წლის ახალგაზრდათა მუშაობა არ უნდა აბრკოლებდეს მათ ფიზიკურ განვითარებას და სპეციალურ და საყოველთაო სწავლის მიღებას. საგანგებო სხდომა განიხილავს მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც მეზღვაურების შეეხება.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 1 მარ. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. ობოზერის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ემცას ჩრდილოეთით და სად. ობოზერსკის დასავლეთით ბრძოლას აწარმოებს. ონეგის მიმართულებით ონეგის სამხრეთ აღმოსავლეთით ბრძოლა. დასავლეთის ფრონტი. დვინის რაიონში მოწინააღმდეგემ სოფ. ბოზი დაიჭირა. პსკოვის რაიონში პეჩორის მიმართულებით ლატიშელთა წითელმა ჯარმა დასტოვა რამოდენიმე სოფ. პეჩორის სამხრეთ დასავლეთით. მარიენბურგის მიმართულებით ჩვენებმა მარიენბურგს 6 ვერ. დაუახლოვდნენ. მიტავის რაიონში ვინდავის მიმართულებით ლატიშელთა წითელი ჯარი ბრძოლით ქალაქ შლოკს უახლოვდება. მიტავის მიმართულებით რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. იუგენის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიჭირა კარაგანია და რუდენსკოვი. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, ტყვიები და ყუმბარები. ზაამუტის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ფეშისინკისკენ წაიწიეს. ლუგანის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა კრუგლიაკო, ვოლნუხინო და სადგური იგნატიევკა. ლუგანის სამხრეთ აღმოსავლეთით უკან დაიხიეს. ველიკოკნიაჟეს მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. აღმოსავლეთის ფრონტი. სტერლიტამაკის რაიონში, ურალის მიმართულებით ბრძოლაა. უფის რაიონში უფიდან 70 ვერს ბაშკირთა ცენტრის რაზმის ღალატის გამო ჩვენმა ნაწილებმა რამოდენიმე სოფელი დასტოვა. ბელებეის რკინის გზის აღმოსავლეთით ბრძოლაა. მოწინააღმდეგემ ჩვენი ნაწილები შეავიწროვა. ახალ-ლეთ კულაის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ბუგულმინის მიმართულებით დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მდინარისკენ დაიხია. მენზელინის მიმართულებით ერთი ჩვენი ნაწილი შემოერტყა მტერს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა შესძლო მენზელინსკში შეჭრა, სარაპულის რაიონში კრასნოუფიმსკის მიმართულებით მოწინააღმდეგემ რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი მტრის იერიშებს იგერიებს. ოსინის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ოსინის სამხრეთ დასავლეთით რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. მდ. ჩუსოვაიასთან ჩვენი ჯარი მტრის იერიშებს იგერიებს. ჩრდილოეთით წინა დღით დაჭერილი რამოდენიმე სოფელი დავტოვეთ. პერმის რაიონში სადგურ კუზინის რაიონში ბრძოლა გრძელდება. კიევი, მარ. 1. ოდესის [illegible] დაცლილია. ბურჟუაზია და მოხალისეები უმეტესობამ მიატოვა. ფრანშე დ'ესპერე და ვერნელი სტამბოლში წავიდენ. გრიშინ, ალმაზოვი და სტანისლავოვი გადაიყვნენ და საფრანგეთის კრეისერით წავიდენ. მათთან ერთად წავიდენ 500 კაცზე მეტი მსხვილი მემამულე და მოხელე. სურსათის მხრით ოდესა ცუდ მდგომარეობაშია. სურსათის შეზიდვა სრულიად შესწყდა. მოსკოვი, აპრილის 1. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ლენინის ტელეგრამა სრ. რუს. განსაკუთრებულ კომისიას. სრ. რუს. განსაკუთრებულ კომისიის ცნობით პეტროგრადიდან ცნობაა, რომ კოლჩაკის, დენიკინის და მოკავშირეთა აგენტები შეეცადენ აეფეთქებინათ პეტროგრადში წყლის სადენი სადგური. სარდაფში ნახეს აფეთქებული მასალები. აფეთქება დანიშნულ დროზე უფრო ადრე მოხდა. მოკვდა რაზმის უფროსი და დაიჭრა 10 წითელარმიელი. იგივე აგენტები ცდილობენ სხვადასხვა ნაწილებში აფეთქონ ხიდები და შეაჩერონ რკინის გზის მოძრაობა, რომ სურსათის შემოზიდვა მოსკოვში და პეტროგრადში შეუძლებელი გახდეს. სოც.-რევოლიუციონერები და მენშევიკები მოუწოდებენ მუშებს გაიფიცონ და საბჭოთა მთავრობა ჩამოაგდონ. ამის გამო თავდაცვის საბჭო წინადადებას აძლევს ენერგიული ზომები მიიღოთ ხიდების და რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭების და გაფიცვების წინააღმდეგ. მიღებულ ზომების შესახებ აცნობეთ თავდაცვის საბჭოს. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლენინი. ბუდაპეშტი, მარტის 30. საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ყველა სასწავლებელი და მისი ქონება სახელმწიფოს ხელში გადადის. რესპუბლიკა მასწავლებლების თანამდებობაზე მიიღებს იმ პირთ, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკის პლატფორმას იზიარებენ. სამხედრო ცნობა. როვნოს მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგეს უკან დაახევინა ბერდიჩევის სადგურის იქით. ბირჩეს მიმართულებით დავიჭირეთ სადგური ზაბლოცე. ნიკოლაევი, მარტის 31. ციხე ოჩაკოვი, რომელიც ხერსონსა და ნიკოლაევს შუა მდებარეობს, საბჭოთა ჯარმა დაიჭირა. კიევი, მარტის 31. გუშინ რაკოვსკიმ მიიღო ადგილობრივ საელჩოს კორპუსი იმის გამოსარკვევად, ცნობენ თუ არა უკრაინის მთავრობად უკრაინის საბჭოთა მთავრობას და თუ ცნობენ, შეძლება ექნეთ გაგზავნონ სამეგობრო თავისი ელჩები. რაკოვსკიმ ნება დართო ელჩებს ისარგებლონ რადიოთი. პასუხისათვის მისცა მათ 10 დღის ვადა. მოსკოვი, აპრ. 1. წყალდიდობის გამო რკინის გზის მოძრაობის მოსალოდნელ შეჩერების და სახელმწიფო ქონებათა საწყობების წყლით ავსების თავიდან ასაცილებლად, მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო ადგენს: სამაზრო და სასოფლო და ადმინისტრაციულ კომიტეტებს მათი პასუხისმგებლობით ევალება: საბჭოთა დაწესებულების პირველ მოთხოვნილებისთანავე გამოიყვანონ საჭირო რიცხვი მუშებისა, ცხენებისა და ფურგუნებისა. ამავე საქმისთვის მოიხმარონ სამხედრო ნაწილები მაზრის, გუბერნიის და ოლქის კომისრების შეწევნით. ამ მიზნით შრომის ბეგარაზე გაწვეულ მცხოვრებლებს მისცენ ხელფასი ადგილობრივ არსებულ ტარიფით. სამხედრო ნაწილებს—ნახევარი. არ უნდა იქნეს დაშვებული არავითარი გამონაკლისი. წყალდიდობასთან ბრძოლისთვის შრომის ბეგარა უთანასწორდება სამხედრო ბეგარას. სამხედრო კომიტეტებს ევალება, თუ საჭირო იქნება, დასახმარებლად გამოიყვანონ სამხედრო ძალა ჩარჩ-თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ, რომლებიც მცხოვრებთ მოუწოდებენ არ მიიღონ მონაწილეობა წყალდიდობასთან ბრძოლაში. ადგილობრივ ცენტრ. აღ. კომიტეტმა ზომები უნდა მიიღონ, რომ დასაჯონ და დააპატიმრონ ყველა, მათ შორის აღმ. კომიტეტის წევრნიც, რომლებიც არ ასრულებენ ადმინისტრაციის განკარგულებას წყალდიდობასთან ბრძოლის შესახებ. მოსკოვის საბჭოს სხდომაზე ფრონტის მდგომარეობის შესახებ ტროცკიმ განაცხადა: აღმოსავლეთის ფრონტზე, მიუხედავათ ქ. უფის დაკარგვისა, კარგი მდგომარეობაა. სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობა მშვენიერია; უკრაინის ფრონტზე ავიღეთ კოროსტენი და მარიუპოლი. მოკლე ხანში დავიჭერთ ოდესას. დასავლეთის ფრონტზე წითელი არმია თავდაცვას აწარმოებს. ჩრდილოეთის ფრონტზე ჩვენ ვეტყვით და რეზერვებიც გვყავს. ანტანტასთან თავდაცვის მხრივ ჩვენი საქმე გამარჯვებით გათავდება, თუ ზურგი მხარს დაუჭერს ფრონტს. ჩვენ უნდა გავიმაგროთ და გავამაგრებთ კიდეც. შორს არაა ის დრო, როცა ევროპის რევოლიუციის მზე ამოვა. ცენტრში მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი მტკიცეთ იდგება თავის ადგილზე და პროლეტარიატი გაიმარჯვებს. ტროცკის მოხსენების შემდეგ სხდომამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ზამთრის განმავლობაში მუშათა და გლეხთა რუსეთის გარეშე მტრები ემზადებოდენ შეტევისათვის და თითქმის ყველა ფრონტზე ერთსა და იმავე დროს სცდილობენ პროლეტარიატის შინაურ მტრების შეთქმულების განხორციელება. კოლჩაკის და დენიკინის მომხრენი დიდის წამებით და საცრების გავრცელებით არ [illegible] და მოუწოდებენ [illegible] მუშებს გაიფიცონ, წითელ არმიელებს კი—ზურგში შეუტიონ. აფეთქებენ გზებს, აფეთქებენ ხიდებს და წყალსადენების განადგურებას სცდილობენ. მონარქისტები მენშევიკების სახელით გამოდიან და ცდილობენ სიყალბით და ცილისწამებით აამხედრონ მუშათა კლასი. მტრების გაერთიანებულ შემოტევას საბჭოთა მთავრობა უშიშრად ბრძოლას უცხადებს. მოსკოვის საბჭო მხარს უჭერს ცენტრალურ საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია მენშევიკების წინააღმდეგ, რადგან ისინი, რუსეთის ბურჟუაზიის და უცხოეთის იმპერიალისტების სასარგებლოთ მოქმედებენ. საბჭო მოითხოვს ყველა მუშებისაგან, ჯარისკაცებისაგან და გლეხებისაგან მოიკრიბონ ძალ ღონე რადგან გამარჯვება ახლოვდება, გაუმარჯოს წითელ არმიას, საბჭოთა რუსეთს, საბჭოთა უნგრეთს, და საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას. ნაცარენკის მოხსენების შემდეგ ერთხმათ დაადგინეს გაუქმდეს სარაიონო სამხედრო კომისარიატები. ბუდაპეშტი აპრილის 1. დეკრეტის ძალით ძვირფასი ლითონი და ძვირფასი განძეულობა 3 ათას კრონზე მეტი ღირებულებისა, უნდა გადაეცეს [illegible] კომისარს სოციალიზაციისთვის. მიღებულ ნივთებში პატრონს ფულს არ მისცემენ. ტაძრებით სარგებლობა სხვა მიზნებისთვის გარდა რელიგიისა, აკრძალულია. თითოეულ სრულ წლოვანს შეუძლია ისარგებლოს არა უმეტეს ერთი ოთახით. უკვე ათასზე მეტი მუშა ცხოვრობს არისტოკრატიულ უბნებში. საბჭოთა მთავრობა დაჩქარებით საზოგადოებათა სოციალიზაციას ახდენს. ლიონი მარტის 31. დღეს თათბირი ქონდათ ვილსონსა და ლოიდ ჯორჯს, გადაწყვიტეს, რომ შეუძლებელია დანციგი გადაეცეს პოლონეთს და საფრანგეთს გერმანიის რომელიმე ტერიტორია გარდა ელზას-ლოტარინგიისა. საფრანგეთმა უნდა მიიღოს ეს პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია სერიოზული განხეთქილება. ლიონი მარტის 31. ჟორესის მკვლელი გაამართლეს და განთავისუფლეს. საფრანგეთის სოციალისტები პროფესიონალურ კავშირებთან ერთად პროტესტით გამოვიდნენ ბურჟუაზიულ სასამართლოს წინააღმდეგ, რომელმაც მკვლელი გაამართლა.

ახალი ამბები

დამფუძნებელი კრების სხდომა. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების სხდომა ხუთშაბათს მაგიერად პარასკევს შესდგება.

◆ **სომეხი ლტოლვილები.** სომხეთის მთავრობის დადგენილებით, საქართველოში მყოფ სომხეთის ქვეშევრდომ სომეხ ლტოლვილთა საქმეების გამგებლობა მიენდო სომხეთის მზრუნველობის მინისტრს დავიდხანის. საქართველოს ქვეშევრდომ სომეხ ლტოლვილთა საქმის გამგებლობა კი მიენდო სომეხთა ეროვნულ საბჭოს.

◆ **არჩევნები სომხეთში.** სომხეთის პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი ახალი პარლამენტის არჩევნებისა. არჩევნები დანიშნულია 21, 22 და 23 ივნისს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პარლამენტის წევრი ს. ხაჩატურიანი.

◆ **ღვინით ვაჭრობა.** მიწათ მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო ნაწილმა დააწყო მთელი ღვინო ართვეთის, ვახქისა და საქარის სანერგებისა, გადმოზიდვისას ვერიის ცენტრალურ სარდაფში შემდეგ ნიხრზე გასაყიდათ: ღვინო ვედრო 60 მანეთი, ხოლო შამპანიურის დასამზადებელი მასალა 80 მანეთად; შუშა-ბოთლის ღვინო 80 მანეთი ფრანკო სარდაფი. (გარდა ამისა 12 მანეთი ვედროზე ქურჭლის ფასი).

◆ **თამბაქო თფილისისათვის.** [illegible] საბჭომ და კოოპერატივთა კავშირმა არა ერთხელ განუცხადეს ფინანსთა სამინისტროს, რომ თამბაქოს თავისუფლად გატანის ნებართვის გამო, ადგილობრივ, თფილისის ბაზარზე მათი ნაკლებობა ემჩნევა. ამ დღეებში ამ კითხვის გადასაწყვეტად ფინანსთა სამინისტროში შესდგა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა პარასკევს შედგეს კრება, რომელზედაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს თფილისში მოსახმარი თამბაქოს ნორმა. ამასთანავე ეს ნორმა უნდა გადიდდეს განსაზღვრულ პროცენტით უცხოეთში გასატანათ—დანარჩენი კი საქონლის გასაცვლელად გადაიდება.

◆ **ჯამაგირების დარიგებას** მოსამსახურეთათვის, თანახმად შეპირებისა, 2 აპრილიდან შეუდგა ქალაქის გამგეობა. არიგებენ მარტის და თებერვლის ჯამაგირებს, მაგრამ ვინაიდან ყოველგვარი ქაღალდები ამის შესახებ აქვთ ბუღალტერებს, რომლებიც მუშაობას არ იწყებენ, ამისთვის ჯამაგირების დარიგება ფერხდება. გაფიცულმა ბუღალტერებმა გასაღებები თან წაიღეს და ასე საშუალება მოუსპეს მოსამსახურეთ ჯამაგირის მიღებისა.

◆ **ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის გარშემო.** წმინდა ნინოს უბნის მცხოვრებთა ს. დ. პარტიის წევრთა საზოგადო კრებამ, განიხილა რა თვითმმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვა დაადგინა: პროტესტი გამოეცხადოს მუშათა კლასში დეზორგანიზაციის შემტან გაფიცულ მოსამსახურეებს და სრული ნდობა გამოეცხადოს თფილისის პროფესიონალურ მუშათა საბჭოს და დემოკრატიის ნდობით აღჭურვილ ქალაქის თვითმმართველობას.

საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირის დროებითი გამგეობამ 31 მარტის თავის სხდომაზე დაადგინა: გამოეცხადოს აღშფოთება ქალაქის საავადმყოფოების განყოფილების იმ ექიმთ, რომლებიც გაიფიცნენ და ამით აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენეს უმწეო და ღარიბი მოქალაქენი.

ჩუღურეთის სოც.-დემ. პარტიის კოლექტივის წევრთა საერთო კრებამ განიხილა ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვა, გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც გმობს და პროტესტს უცხადებს ქალაქის მოსამსახურეებს.

თფილისის ქალაქის გამგეობაში გაფიცვის წინააღმდეგ მყოფ მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ იქონია რა მსჯელობა გაფიცვის შესახებ, დაადგინა: გაჰკიცხონ კერძო ჯგუფთა დეზორგანიზატორული გამოსვლები და ამასთანავე კრება საჭიროდ სცნობს არსებული პროფესიონალური კავშირი ქალაქის მოსამსახურეების დაიშალოს და შესდგეს ახალი კავშირი—აგებული პროლეტარ-პროფესიონალურ მოძრაობის შესაფერ პრინციპებზე.

◆ **გურიის დამხმარე კომიტეტის** პრეზიდიუმი სთხოვს ყველა იმ წევრთ და კერძო პირებს, ვისაც წაღებული ჰქონდა წიგნაკი ფულის შესაკრებათ, დაუყოვნებლივ შემოიტანონ „ნაკადულის“ რედაქციაში ხაზინადარ ნინო ნაკაშიძესთან.

◆ **მკვლელობა.** 1 აპრილს, ღამის 10 საათზე, მიხეილის ქუჩაზე № 81, თავის ბინაზე დანით მოჰკლეს მინა ზუგოროლავი. მკვლელი მიიმალა.

◆ **ქურდობა.** 1 აპრილს, საღამოს, ასტაროვის ბინიდან, ზელინის ქუჩა № 18, ბოროტ მოქმედებმა მოიპარეს 40,000 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

◆ **სამხანაგო [illegible]** მგალობელთა 1910 წელს დაარსებულ გუნდის წევრთა მეორე საზოგადო კრება დანიშნულია დღეს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე მესამე მომრიგებელ სასამართლოს ბინაზე (ტურგენევის ქ.)

◆ **საქართველოს რესპუბლიკის** ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირთან არსებული კულტურული სექცია კვირას, 6 აპრილს, 5 საათზე, კავშირის სამმართველოში (მიხეილის პროსპ. № 139) მართავს ლექციას კავშირის წევრებისათვის.

◆ **ლექცია.** 7 აპრილს სახალხო სახლში დილის 11 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საპედაგოგიო სამეცნიერო წრის სასარგებლოთ ლექტორი მანდელშტამი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატი და გლეხობა რევოლიუციაში“.

◆ **თფილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელი** ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იგი უკანასკნელად იწვევს ყველა წევრებს საზოგადო კრებაზე, კრება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, მაინც კანონიერათ ჩაითვლება. კრება დანიშნულია დღეს, 3 აპრილს 4 საათზე, მუშათა კლუბის დარბაზში (ვორონცოვის ძეგლთან „ზიმონიში“).

◆ **დღეს,** საღამოს 7 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის პირველ განყოფილებაში (ნაძალადევი) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) მ. ჩხეიძისა „სამართლის ცოდნა“, 2) ექ. ხოჭოლავასი „ანატომია“.

◆ **თავდაცვის ფონდისთვის** რედაქციამ მიიღო 412 მ. სახ. „ალორძინების“ მოსამსახურეთა შორის შეგროვილი.

◆ **ახალი სამხატვრო ჟურნალი** „თეატრი და მუსიკა“ № 1, რომელიც ქუთაისში გამოდის, რედაქციამ მიიღო. ჟურნალი მხატვრულად და ლამაზად არის გამოცემული და 8 ნახატიანია. ჟურნალის ერთი ნომრის ღირს ერთი თუმანი. თფილისში ჟურნალი იყიდება [illegible].

◆ **დუშეთში** სამშაბათს, 8 აპრილს, დილის 10 საათზე დანიშნულია ერობის საბჭოს ხმოსანთა ყრილობა. თუ დანიშნულ დროს საკმაო რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, მაშინ დაინიშნება ახალი კრება იმავე დღეს 12 საათზე და ეს კრება ჩაითვლება კანონიერად მიუხედავად დამსწრე ხმოსანთა რაოდენობისა.

◆ **ყაჩაღობა.** 1 აპრილს საღამოს 9 საათზე სასტუმრო „შემახიაში“ შევიდნენ 6 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველნი და სასტუმროში მყოფ მცხოვრებლებს წაართვეს 81,000 მანეთი.

— იმავე დღეს ღამით, პლეშნის ბინაზე, 1 კომერციულ სასწავლებელში, შევიდნენ 4 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველნი და სიკვდილის მუქარით წაიღეს 8,000 მანეთი და მიიმალენ.

კრებები

ხუთშაბათს, 4 აპრილს, 5 საათზე ბიუროს ბინაზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, 3 აპრილს, საღამოს 5 ნახევარ საათზე, კოლექტივის ახალ ბინაზე, (სიონის ქუჩა) დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღ. 6 საათზე დანიშნულია პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

მომხმარებელი კოოპერატივები ჩვენში

I

საქართველოში დღეს იშვიათად ნახავთ ისეთ სოფელს, რომელსაც თავისი საკუთარი კოოპერატივი არ ჰქონდეს. ჩვენ ვიცით თუ რა ნელი ნაბიჯით გაიარა და განვითარდა დასავლეთ ევროპის მაღალ კულტურის მქონე სახელმწიფოებში კოოპერატიული მოძრაობა; პირველი ცდა კოოპერატიული საზოგადოების მოწყობისა წილად ხვდა რობერტ ოუენს. მართალია, მისი ცდა მარცხით დათავდა, მაგრამ მის მიერ წარმოშობილი იდეა ამით არ მოსპობილა: თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ოუენის იდეის ხორცის შესხმა და ცხოვრებაში გატარება იკისრეს როჩდელელმა მუშებმა; ამ უკანასკნელთ მრავალი დაბრკოლებები გადაეღობათ წინ, მაგრამ შეგნებულათ დაწყებულმა საქმემ ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭა როჩდელელ პიონერებს და კოოპერატიულ მოძრაობასაც მტკიცე საფუძველი მოუპოვა. ეს მოხდა 1844 წ. ამ დღიდან მოკიდებული კოოპერატიული მოძრაობა თანდათან ვრცელდება მთელს ევროპაში. მართალია მას მტრები იმ თავითვე აღმოუჩნდენ, მაგრამ ვერა დააკლეს, რადგან სათავეში შეგნებული მუშები უდგებოდენ და თან შესაფერი ნიადაგიც მოპოვებული იყო.

ჩვენში კი მომხმარებელი კოოპერატივები არანორმალურ პირობებში აღმოცენდნენ, და სწორედ ამ არანორმალური პირობებით აიხსნება ის გარემოება, რომ კოოპერატიული ამხანაგო-

ბები ულეისებურის სისწრაფით გამრავლდნენ.

დასავლეთ ევროპის მუშა-კოოპერატორებს ნათლად ჰქონდათ შეგნებული მომხმარებელ კოოპერატივის მიზნები; ეს მიზნები იყო: 1) მომხმარებლების განთავისუფლება იმ შუამავლებისაგან, რომელთა წყალობითაც ერთი თავად ძვირდებოდა სურსათი თუ სხვა საქონელი და 2) მომხმარებლისათვის სადი სანოვაგე-სურსათის და მაღალი ღირსების საქონლის მიწოდება. ჩვენი კოოპერატორებიც ამ მიზნებს აკუთნებდენ მომხმარებელ კოოპერატივს, მაგრამ მათი ცდას და პროპაგანდას ნაკლები გასავალი ჰქონდა, სანამ საერთაშორისო ომი არ დაიწყო. როგორც ვიცით უმაგალითო ომმა მინიმუმამდე შეამცირა წარმოება, მოშალა ტრანსპორტი და საფუძვლიანი ნიადაგი მოუმზადა სპეკულიაციას. ვაჭრების მადა სწრაფად და საშინლად გაიზარდა: საქონელი ძვირდებოდა არა წლობით და თვეობით, არამედ საათობით და წუთებით. ამ გარემოებამ ჩააფიქრა უფრო შეგნებული მომხმარებელი და აფიქრებინა მომხმარებელი კოოპერატივების დაარსება, რომ ამ უკანასკნელის საშუალებით ეწარმოებინა ბრძოლა აღვირ-ახსნილ სპეკულიაციის წინააღმდეგ. ამნაირად ჩვენი მომხმარებელი კოოპერატივების მიზნად და დანიშნულებად იქცა უაღრესად ბამდე გაძლიერებულ სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

მაგრამ შესძლო კი ამ მიზნების განხორციელება და მიღწევა მან? სამწუხაროდ ვერა. სპეკულიაციის წინააღმდეგ მიმართული დაწესებულება თვით იქცა სპეკულიაციის გასაძლიერებელ საშუალებად, სპეკულიაციის წყაროდ.

პირველ მოთხოვნილების საგნებთა შორის ყველაზე უწინ შაქრის კრიზისმა იჩინა თავი. უკრაინიდან შაქარი მხოლოდ არაჩვეულებრივ საგუბერნიო მთავრობის მისამართით მოდიოდა; მთავრობა კი, შაქარს ანაწილებდა კოოპერატივების საშუალებით; ამნაირად ეს ერთი სავაჭრო საგანი კერძო ვაჭრებს გამოეცალა ხელიდან. ამავე დროს შაქრის ფასი კი თან და თან იწევდა ზევით; ჯერ მაშინაც, როდესაც კოოპერატიულ მაღაზიებში შაქარი ღირდა 20—25 კაპ. ფასობდა, კერძო პირების ხელიდან კი 1 მან. და 1 მ. 50 კაპ. იყიდებოდა. მაგრამ რა გზით უნდა ეშოვათ კერძო პირებს გასაყიდი შაქარი? წვრილ ფეხა სპეკულიანტებმა ხელმოკლე მომხმარებლისაკენ მიაპყრეს თვიანთი გაუმაძღარი თვალები. რადგან ჩვენი სოფელი ჩაის ნაკლებად სვამს, შაქარს არ საჭიროებს, და სპეკულიანტებმაც სწორედ სოფელს მიაშურეს და შეუდგნენ სოფლებიდან შაქრის შეგროვებას. სოფელი კოოპერატივიდან შაქარს 20—25 კაპ. ყიდულობდა, სპეკულიანტები კი მას 1 მან 50 კაპ. და ხშირად მეტსაც აძლევდნენ.

ამ გარემოებამ სოფლებში გამოიწვია მისწრაფება კოოპერატიული მაღაზიების დაარსებისა. მომხმარებელი კოოპერატივი მათ უნდოდათ არა იმისათვის, რომ ამ უკანასკნელის საშუალებით სადი სურსათი და მაღალ ხარისხის საქონელი შეეძინა, არამედ მიეღო შაქარი იაფ ფასებში, ხოლო ეს შაქარი კი მიეყიდა სპეკულიანტებისათვის მაღალ ფასებში და ამ გზით გაეჩინა შემოსავლის წყარო.

სწორედ ამ მიზნით გაჩნდა უმეტეს შემთხვევაში სოფლად მომხმარებელი კოოპერატივების დაარსების ციებ-ცხელება და არ დარჩენილა არც ერთი მივარდნილი კუთხე, არც ერთი პატარა უმნიშვნელო სოფელი, რომ თავისი საკუთარი მომხმარებელი კოოპერატივი არ გაეჩინა. ამასთანავე ზოგიერთები ორ სამ და ხშირად მეტ სხვადასხვა სოფლის კოოპერატივებში ეწერებოდენ, რომ შაქარი ბევრი ალაგას მიეღოთ, რომ ბევრი შაქარი შეეძინათ, ბევრი გაეყიდათ სპეკულიანტებზე და ბევრი მოეგოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად სამწუხარო მოვლენა: ჩვენი სოფლის კოოპერატივები უმეტეს შემთხვევაში სოფლის ჩარჩებს ჩავარდნოდათ ხელში, რომლებიც დიდის სიამოვნებით თანხმდებოდენ უსასყიდლოდ ემსახურათ გამგეობებში. ამ ჩარჩებს უნდოდათ კოოპერატივის ფირმა, მისი ბეჭედი, რომლის საშუალებითაც ისინი მიდიოდნენ,—და დღესაც მიდიან,—სხვადასხვა დაწესებულებებში და ღებულობენ სურსათს და სხვა საქონელს, თითქო კოოპერატივისთვის, ნამდვილად კი თავისთვის. ჩვენ ბევრი ვიცით ისეთი მაგალითი, რომ ამა თუ იმ მომხმარებელ კოოპერატივის გამგეობის წევრებს მიღებული შაქრიდან მეათედი ნაწილიც კი არ მიუტანიათ კოოპერატივში, არამედ გზაში გაუყიდიათ რომელიმე სპეკულიანტზე. ასეთივე ბედი ეწევა უმეტეს შემთხვევაში იმ საქონელსაც, რომლებიც მომხმარებელ საზოგადოებების გამგეობებს მისცეს სოფლებზე გასანაწილებლად ჩვენმა მიწყოლებელმა კომიტეტმა, წითელი ჯვრისა და სხვა დაწესებულებებმა.

იყო კიდევ ცუდი მიზეზი, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი მომხმარებელი კოოპერატივების სოფლად გავრცელებას. როგორც ვიცით, კოოპერატივში მოსამსახურეთ სამხედრო ბეგრიდან ანთავისუფლებდენ, როგორც ხაზინის სამსახურზე მომუშავეთ. არა ერთი და ორი კოოპერატივი დაარსდა ჩვენს სოფლებში იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ პირს თავი დაეღწია სამხედრო ბეგრის მოხდისაგან. ამ გზით განსაკუთრებით ისარგებლეს უფრო შეძლებულმა გლეხებმა: ასეთები ხშირად ამა თუ იმ სოფელს თავისი ხარჯით უარსებდენ კოოპერატივს, იღებდნენ პასუხისმგებელ ნოქრად, ან გამგეობის წევრად ეწერებოდა მისი შვილი, რომელსაც სამხედრო ბეგრის მოხდა უწევდა; ამასთანავე შეჰქონდათ საწევრო ფულიც იმ პირთა მაგიერ, რომლებიც ამ საქმეში დახმარებას აღუთქვამდენ და არჩევნების დროს კენჭს მათ მისცემდენ. ასეთი „კოოპერატორები" სამხედრო ბეგრიდანაც იხსნიდენ თავს და შემოსავლის წყაროსაც იჩენდენ.

კოოპერატივების გავრცელებას ხელი შეუწყო აგრეთვე კუთხურმა პატრიოტიზმმაც: ყველას უნდოდა კოოპერატივი მის ეზოსთან ყოფილიყო დაარსებული; იწყებოდა ამ ნიადაგზე დავა და მიწევ-მოწევა. ბოლოს ეს დავა თავდებოდა იმით, რომ პაწაწკინა სოფელი ზოგიერთი ინტრიგანთა წყალობით ორად გაითიშებოდა და ერთის მაგიერად ორ კოოპერატივს გააჩენდა. ჩვენს სოფლებში ბევრია ისეთი კოოპერატივები, რომლების წევრთა რიცხვი 100—150 ს არ აღემატება მაშინაც კი, როდესაც თითო ოჯახიდან სამი და ოთხი წევრია ჩაწერილი.

თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ წევრთა შემადგენლობის სიჭრელეს,—იღებენ ყველას: *) ვაჭარს, კოოპერატივის აშკარა მტერს საეჭვო პირებს და სხვა,—მაშინ ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება ის სავალალო მდგომარეობა, რომელსაც ჩვენი კოოპერატივები განიცდიან; ამა თუ იმ კოოპერატივის წევრებს აკავშირებს არა კოოპერატიული იდეა, არა ის მიზნები, რომელთაც ისახავენ დასავლეთ ევროპის კოოპერატივები, არამედ ჩარჩულ სპეკულიანტური მიზიდულობა. მხოლოდ ამით აიხსნება ის მეტად სამწუხარო და ჭეშმარიტ კოოპერატორისათვის მეტად დამაფიქრებელი მოვლენა, რომელსაც ჩვენში აქვს ადგილი: საზოგადო კრებები ადგენენ იჯარით მისცენ კოოპერატივი და სცემენ კიდეც; მოიჯარადრეებათ გამოდიან სოფლის ჩარჩები:

საქმისა და ანგარიშების წარმოება, გარდა ორიოდე იშვიათი გამონაკლისისა, სავსებით ღუპნურია.

ასეთია მოკლედ დახატული სურათი დღევანდელ, ეგრედ წოდებულ, კოოპერატიულ მოძრაობისა. და თუ ჩვენი კოოპერატივები მაინც განაგრძობენ ჯერჯერობით „არსებობას", თუ მათი კარები ჯერჯერობით კიდევ არ გამოკეტილა, ეს აიხსნება იმ ეკონომიურ არევ დარევით, სურსათის და საერთოდ ყოველგვარ საქონლის იმ უმაგალითო კრიზისით, რომელსაც დღეს ჩვენი ქვეყანა განიცდის.

ვ. ჭავჭანიძე.

---

*) სოფლის კოოპერატივებში თითო ოჯახიდან ორი სამი და ხშირად ოჯახის ყველა წევრები ეწერებიან კოოპერატივის წევრებათ და ცალ ცალკე გამოაქვთ საწევრო წიგნაკები. ყველა ამ წიგნაკებით გამოაქვთ სურსათი ოჯახის მთელი შემადგენლობისათვის. ამნაირად, თუ ოჯახში ხუთი წევრია და ამათგან სამი ცალ-ცალკეა ჩაწერილი წევრად, თვითეულს გამოაქვს ხუთი სულის წილი, ე. ი. ყველას 15 სულის. ზოგიერთ შემთხვევაში არც ამით კმაყოფილდებიან და ყალბ ცნობებსაც იძლევიან ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ. თუ არის ოჯახში სამი სული, აწერინებენ ექვს და მეტ ძლევა მეტსაც ამ გზით განსაკუთრებით შაქარს აგროვებენ და შემდეგ ყიდიან სოფლის ჩარჩებზე, რომლებსაც შაქარი გააქვთ ქალაქებში და აძლევენ სპეკულიაციას.

„ინტერნაციონალისტი"—შოვინისტები

(ბეჭდვითი საქმის მუშათა შორის).

აღნიშნულ დარგის მუშათა 9—16 მარტის საზოგადო კრების შესახებ ეს ერთი ხანია, თითქმის ყოველდღე, წერილები და ფელეტონებიც კი იბეჭდება რუსულ გაზეთ „სოციალ დემოკრატ"-ში და „ტრუდოვოე ზნამია"-ში. რას იზამთ, ერთი ამხანაგის ნათქვამის არ იყოს, მაშ გაზეთი რით გავსონ!.. წერილებში სრულიად დამახინჯებულია სიმართლე და სინამდვილე. ეს არც გასაკვირია: გამგეობის არჩევნებში გამარცხებული ივანოვ-მიროვიჩ-კოლაძეები—მეტს რადას იქმოდნენ. ეს მტკიცე „ინტერნაციონალისტები", მაშინ, როცა ჩვენ ამ რამდენიმე თვის წინად გვინდოდა გაგვეგო ჩვენი კავშირის წევრთა ეროვნების რაოდენობა, ეს ვაჟბატონები ჩვენ შოვინისტებს გვეძახდნენ და სხვა ეროვნების მუშებს შორის ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ. ეხლა კი ეს უკიდურესი „ინტერნაციონალისტები" თვითონ შესდგომიან მუშების ეროვნების გამორკვევას: თითქმის ყოველ დღე დაიარებოდნენ კავშირში და სჩხრეკენ წიგნებს... შედეგი და ნამუშევარი ამხ. ილატოვსკიმ გაზეთ „ტრუდოვოე ზნამია"-ში გამოაქვეყნა: აი, შეხედეთ, უმრავლესობა „ჩვენ" ვართო,—დაიძახა შემოჩრილი გარძახის ავტორი. 850 მეტ ქართველია 200-ზე ცოტა მეტი სომეხი და აგრეთვე რუსი, (მე ამას დაახლოვებით ვიძახი, რადგან აღნიშნული გაზეთი ხელთ არა მაქვს), როგორ, განა 200—850-ზე მეტია? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ საქმე აქ იმაშია, რომ ავტორი სომეხ და რუს მუშების რიცხვს აერთებს და უპირდაპირებს—ქართველ მუშების რიცხვს, მაგრამ რათ აერთებს ამ ციფრებს ავტორი? ალბათ, ეს მეტის-მეტი „ინტერნაციონალისტობით" მოსდის.

ეს ვაჟბატონები წერილების ბეჭდვით როდი კმაყოფილდებიან. ახლად არჩეულ გამგეობას ყოველის საშუალებით ებრძვიან. გამგეობის დამხობისა და სახელის გატეხისთვის ყოველ საშუალებას მიმართავენ. მათ თვიანთი მუშობა ალაგ-ალაგ, ქარხნებში გადაიტანეს და მოქმედება გაამწვავეს. მაშინ, როცა ახალმა გამგეობამ მუშების ჯამაგირების ახალი მოთხოვნილება სრულიად გაატარა ცხოვრებაში, თურმე უპასუხისმგებლო პირები მუშებში ხმებს ავრცელებდნენ: გამგეობას ხაზეინებისათვის დაუთმიათ და ისიც მომრიგებელ კამერაში გადაუცია საქმეო. და აი ასეთ ჭორების და დემაგოგიის საშუალებით რამდენიმე მუშა შეუცდენიათ და ახალ გამგეობის წინააღმდეგ აუმხედრებიათ.

აი რანაირი საშუალებით გვებრძვიან მოწინააღმდეგენი.

ეს კიდევ არაფერია იმ ცნობასთან შედარებით, რომელიც მოთავსებულია რუსულ გაზეთ „სოციალდემოკრატ"-ში. აქ თქვენ წაიკითხავთ: 29 მარტის ბეჭდვითი საქმის მუშათა რწმუნებულების კრებამ დაადგინა: 1 აპრილისთვის იწვევს რწმუნებულების კრებას, სადაც უნდა აირჩეს 5 დელეგატი კონფერენციაზე გასაგზავნათ ბაქოში.

აი საკვირველი ხალხი. როდის შესდგა ან რწმუნებულების კრება და ან ვინ მისცა უფლება ამ „რწმუნებულებს" კრება მოიწვიონ, როდესაც აღნიშნულ კავშირის ინსტრუქციაში ნათლადაა ნათქვამი: რწმუნებულების კრებას იწვევს კავშირის გამგეობაო.

ან, განდაც კანონიერ რწმუნებულებს ვინ მისცა უფლება დელეგატების არჩევისა კონფერენციაზე გასაგზავნათ? ჩვენის აზრით ეს საზოგადო კრების საქმეა. და თუ ეს ვაჟბატონები თავიანთ დადგენილებას მაინც არ გადააუქმებენ, მაშინ ესენი იქნებიან ძალით მაცხოვრები, ანუ „სამოზვანცები", რომელთაც, რა თქმა უნდა, არ უნდა შეეძლოთ მუშების სახელით ლაპარაკი.

დასასრულ ერთ რამეზე კიდევ უნდა შევჩერდეთ: ივანოვ-ილატოვსკიები თავიანთ წერილებში თუ სიტყვიერად ძალიან ხშირად იმეორებენ: გამგეობაში ამდენ ამდენი ქართველი გაყვანილიაო, ამდენ ამდენ ქართველს ვირჩევდითო, ამდენი ქართველი მუშაა კავშირშიო და სხვა, მაგრამ მე ვეკითხები მათ: რაში სჭირდებათ ასე ხშირად ქართველის ხსენება? ისინი ხომ უკიდურესი „ინტერნაციონალისტები" ბრძანდებიან? პასუხს ჩვენ თვითონ გავცემთ: ამ უპასუხისმგებლო პირებს უნდათ სხვა და სხვა ეროვნების მუშები გათიშონ და მით თავიანთი ბატონობა განამტკიცონ. მათ კარგათ იციან ამ ხრიკებით ადვილათ გადაიბირებენ შეუგნებელ რუს და სომეხ მუშებს და თავიანთ იარაღად გამოიყენებენ.

მაგრამ ჩვენ ღრმათა გვრწამს, რომ შეგნებული რუსი და სომეხი მუშები ამ მოლაპულ გზაზე არ შესდგებიან.

მიხ. თამაზაშვილი.

დამფუძნებელ კრების სოც.-დემოკრ. ფრაქცია

სთხოვს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს გამოუგზავნონ ფრაქციის ბიუროს ყოველგვარი მასალები, მოხსენებები, ანგარიშები და სხვა მასალები თავის ცხოვრებიდან.

ვთხოვთ აგრეთვე ყველას, ვისაც რაიმე საქმე აქვს ფრაქციასთან მიმართოს ფრაქციის ბიუროს. მიმართვა შეიძლება წერილობითაც.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის და ბიუროს

თავმჯდომარე რ. არსენიძე.
მდივანი გრ. ურატაძე.

ფრაქციის და ბიუროს ადრესი: თფილისი, სასახლე, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, ოთახი № 5. (Тифлисъ. Дворецъ, Соціалъ.демок. фракція, комната № 5)

სტუდენტთა შორის

სახელმწიფო უნივერსიტეტში.

30 მარტს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა სტუდენტთა საზოგადო კრების გაგრძელება.

პირველ საკითხად დასვა მისალოცი დეპეშის გაგზავნა დამფუძნებელი კრებისათვის, წარდგენილ იქნა ორი ტექსტი: სოც. დემოკრატების და სოც.-ფედერალისტების. მილოცვის შესახებ ილაპარაკა „მაშვრალმა" კურძახიამ, რომელმაც ჩვეულებისამებრ თავი მოხსნა ლანძღვა-გინების გუდას დამფუძნებელ კრების მიმართ. ეს ხალხი, რომ გზა აბნეულია და სრულიად უპრინციპოა, ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ ის კი არ გვეგონა, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებში თავისი სიით გამოსულნი დღეს იმავე დამფუძნებელ კრებას უარყოფდენ.

„არც ჩემი მანახო, ხან ისე და ხან ასეო", ასეთია მოკლედ უპასუხისმგებლო პირებისა. მარტის დღესავით ფედერალისტები რამოდენიმეჯერ იცვლიან თავიანთ „აზრს". მაგრამ დემაგოგებმა უნდა იცოდენ, ვინც დღეს დამფუძნებელ კრებას ბრძოლას უცხადებს და უარყოფს მას, ის ბრძოლას უცხადებს აგრეთვე მთელ საქართველოს ხალხს...

თავმჯდომარემ (მ. კაკაბაძემ) აქაც უღალატა სამართლიანობას და ჩვენ საშუალება არ მოგვცა შესაფერი პასუხი გაგვეცა „ქამელეონების" პარტიის წარმომადგენლისათვის.

კენჭის ყრით ჩვენმა წინადადებამ მიიღო 57, სოც. ფედერალისტების 99 ხმა, ნაც.-დემოკრატებმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

შემდეგ დამტკიცებულ იქნა გამგეობის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კავშირის წესდება.

ჯერი მიდგა გამგეობის არჩევნებზე. სოც.-ფედერალისტებმა მოითხოვეს არჩევნები მოეხდინათ ორ დღეში: კვირას და ორშაბათს (ალბათ, კვირას ვერ მოიყრეს თავისი „ლაშქარი"). ნაც.-დემოკრატებმაც დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას და ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება საზოგადო კრების მიერ გამგეობის ამორჩევისა შეერთებულმა ფედერალისტებმა და ნაციონალდემოკრატებმა არ დააკმაყოფილეს.

მეორე დღეს მოხდა არჩევნები ფარული კენჭის ყრით. არჩევნები ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. სოც.-ფედ. მიიღეს 166 ხმა. ჩვენ 110 ხმა, ნაციონალდემოკრატებმა 72 ხმა. სოც.-ფედ. გაიყვანეს 12 კაცი, ჩვენ 8 კაცი, ნაციონალდემოკრატებმა კი 5 კაცი. ამ რიგად ჩვენ მოგვემატა სამი კაცი. ნაციონალდემოკრატებს მოაკლდა 2 და ფედერალისტებს ერთი. (ძველ გამგეობაში ასე იყო ადგილები განაწილებული: სოც.-ფედ.—13 კაცი, ნაც.-დემ. 7 კაცი, ჩვენ კი 5 კაცი.

განახლებულ გამგეობას ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. ახალი გამგეობა ამთავითვე უნდა შეუდგეს ორი საქმის მოგვარებას. სტუდენტთათვის იაფ-ფასიან სასადილოს გახსნას და ლექციების ბეჭდვა-გამოცემას.

ვნახოთ, დაანებებენ თავს თუ არა ჩვენი მოწინააღმდეგენი მახინჯ ფორმით პარტიულ კინკლაობას და ამაღლდებიან თუ არა იდეურ ბრძოლის წარმოებამდე.

ან—ხანი.

გვარდიელის დღიურიდან

(ახალციხის ფრონტი)

5 მარტი.

დილას ჩვეულებრივად ცოტა ცუდი ამინდი იყო. მთებზე ბურუსი იდგა და საშუალებას არ გვაძლევდა მტრის ადგილები დაწვრილებით გაგვესინჯა. კიდევ თოვდა. მიუხედავად ბურუსისა ჩვენმა ზარბაზნებმა მარცხენა და მარჯვენა მხარიდან საშინელი ჯახჯახით აანთეს. შეტევა უნდა მომხდარიყო სწორედ მაშინ, როდესაც კაპიტან ცომაიას ხელმძღვანელობით 1 ბატალიონი სიღნაღლების და გურულებისა შემოუვლიდა ზურგიდან სიმაღლეს „617", მას სიგნალი უნდა ეჩვენებინა ჯარისათვის და ამით შეტევაზე გადასულ მე 8 ე ბატალიონს გორულებისას დიდი საშუალება მიეცემოდათ „617" აღების დროს. ამავე დროს მტკვრის მარცხენა ფლანგიდან რეგულიარულ ჯარსაც წინ უნდა წაეწია და ასე შეთანხმებით მტერი დაემარცხებიათ. 9 საათია უკვე. ჩვენი ზარბაზნები მტრის მოსვენებას არ აძლევენ. მე 8 ბატალიონი გორულების პოლკ. ფურცელაძის ხელმძღვანელობით გადავიდა შეტევაზე. გორულები მარდათ, უშიშრად წავიდნენ წინ „ცეპით". ამავე დროს მტკვრის მარცხენა ფლანგიც აბოჟურდა და „ურა! ურა!" ძახილით წინ გაიწია. მშვენიერი სურათი იყო. ჩვენი გვარდიის და ჯარი ლამაზად გაფანტულიყო, წინ მიიწევდენ და მათი ყიჟინა იქაურობას აჟრუებდა... 5 წუთის შემდეგ გორულებს თან გაყვა მე 4 ე ბატალიონი შორაპნელების, სამტრედიელების და მეგრელების. ბრძოლის ველზე დაეცა ერთი გორელი მოკლული. ტყვია გულში მოხვდა და იქვე განუტევა სული. მტერს თავზარი დაეცა და სამარცხვინოდ უკან გაიქცა, კარგი სანახავი იყო თუ როგორ გარბოდენ. ლეკეების იწვევდა გორის შტაბის წარმომადგენელი მაჭავარიანი, რომელიც მშობლიური მზრუნველობით თავს უვლიდა გვარდიელებს, რომლებიც გორელები შეტევაზე გადადიოდენ, მაჭავარიანიც მათთან იყო წინა ხაზზე.

საღამოს გვარდია 12 საათზე უკვე აწყურში შევიდა რევოლიუციონური სიმღერებით და წითელი დროშებით. აწყურში შემოგვეგებნენ თეთრის დროშებით. ქალები და კაცები უკვე გახიზნული ყვნენ და აწყური წარმოადგენდა ნამდვილ უდაბნოს. ზოგიერთმა მაინც ელემენტებმა ცარცვას მიჰყვეს ხელი, მაგრამ რამდენიმე დაჭერილ იქნა. გზაში საოცარი სურათები გვხვდებოდა, აგერ დაჭრილი თათარი გდია და მოკლული არავინ შველის, იქით ცხენი და პირუტყვები დახოცილი. წინ გავწიეთ „ცეპით" და აწყურს იქით საღამოს 6 საათზე უკვე მ გვრისი გავიარეთ, ამოვიარჩიეთ პოზიცია გორაზე და დაქანცული გვარდიელები კლდეზე მიწვნენ.

დიდი იყო ეს გამარჯვება. აწყური, ეს ბუნებრივი სტრატეგიის უკანასკნელი სიტყვაა. აქ მტრის დამარცხება ნიშნავდა მტრის საბოლოოდ დამარცხებას. ჩვენ მოწინააღმდეგეს არ ჰქონდა არც ტყვიისმფრქვეველი და არც ზარბაზნები, ჩვენ კი ამით მდიდარი ვიყავით და უნდა ითქვას მათ სასახელოთაც, რომ იშვიათად იბრძოდენ ჩვენი წინააღმდეგები. მიუხედავად ასეთი დამარცხებისა, ისინი ბრძოლით იხევდენ და ერთ სიმაღლეს არ გვაძლევდენ უბრძოლველად. ღამე წყნარად ჩატარდა და ჩვენც მივეცით ბუნების სიამოვნებას.

6 მარტი.

დილას რეგულიარულმა ნაწილებმა დაუშინეს ზარბაზნები სოფ. აგარას, სახალხო გვარდიელებმა კი სოფ. წრიოხს. მტერი გორებზე იყო გამაგრებული და ისროდა. სოფ. წრიოხის და აგარას აღებაში დიდი დახმარება გაგვიწია ჯავშნოსანმა ავტომობილებმა „ინტერნაციონალმა" და „სამშობლომ". შიგ მტრის შუა გულში შევარდა და ცეცხლით მტერს დიდი თავზარი დასცა. ჯავშნოსნებში დაგვიჭრეს რამოდენიმე. მიუხედავათ ამისა, ჯავშნოსანი არ ისვენებდა და პირიდან ჯახჯახით ცეცხლს აფრქვევდა. გვარდიელებმა და რეგულიარულმა ნაწილებმა 12 საათზე დაიწყეს „ცეპით" წასვლა. რეგულიარული ნაწილები შესდგებოდა 8000 კაცამდე და მათი საშუალებით „ცეპზე" წასვლა გაკვირვებას იწვევდა. როგორც ჰქონდა, ისე ირეოდა გაშლილ მინდვრებზე ჯარი. 1 საათზე აღებული იყო უკვე სოფ. აგარა და სოფ. წრიოხი. სოფ. აგარა და წრიოხი მცხოვრებლებით დაცლილი არის, სახლები განადგურებული. საქონელი და ფრინველები მიტოვებული უპატრონოთ. სოფ. წრიოხი პატარა სოფელია და სახლები გოდურებს წარმოადგენს, საზოგადოთ ყველა სოფლებში ძლიერი უსუფთაობაა ამ სოფელში ხალხი ღარიბათ სცხოვრობს, ბევრი არ არის, ჩვენ ერთ სადგომში გავათიეთ ღამე.

7 მარტი.

დილას გზას გაუდექით და უბრძოლველად გავიარეთ სოფ. წნისი, ზიკილია და გიორგი წმინდა, 12 საათზე ჩვენ ახალციხეზე დაშორებული ვიყავით 5 ვერსის მანძილზე. რამოდენიმე ნაწილები კი ახალციხეში შევიდა. ჩვენ ახალციხეს გვერდი ავუარეთ და აბასთუმნის მიმართულებით მთებისაკენ გავწიეთ და საღამოს 5 საათ. სოფ. ბოგა დავიკავეთ. სოფ. ბოგაში მცხოვრებს გარდა დაგვხვდა აღებულ სოფლებიდან გამოქცეული ლტოლვილები. ჩვენ მისვლისთანავე ხალხს თავი შევუყარეთ და ულტიმატუმი წავუყენეთ იარაღის აყრის.

8 მარტი.

ჩვენ ერთ მდიდარ ბეგის ოჯახში ვიმყოფებით. სახლიც კარგია და კარგათაც სცხოვრობს. სახლის პატრონი მადიანობით გვარად და უწინ კანცელარიის მწერლად ყოფილა. ცოტა რუსულის ლაპარაკიც იცის. ბოგაში ქართული ენა უმრავლესობამ იცის. დილას შევუყარეთ ყველა თათრებს თავი და აუხსენით ჩვენი მისვლის მიზანი, მოკლედ გადავცანით საქართველოს მთავრობის აზრი მათ შესახებ. სხვა და სხვა გამოცემული კანონები პარლამენტის მიერ მათ სასარგებლოდ. მიწის კანონი ძლიერ მოეწონათ. საზოგადოთ ამ სოფელში ქართველი მაჰმადიანობა სცხოვრობს და ისინიც საქართველოსაკენ მიისწრაფვიან.

როცა ბეგების შესახებ აუხსენით ჩვენი შეხედულება, ყველამ ერთხმად გვიპასუხა: „ჩვენ ყველანი ფეხშიშველა ხალხი ვართ და ისინი ჩვენ არ გვინდაო". იარაღი შეკრიბეს და მოგვიტანეს. 2 საათზე სოფ. ხერთში გავედით. ეს სოფელი ნახევარი ვერსით არის დაცილებული სოფ. ბოგიდან აქაც საიმედოებით მიგვიღეს და 240 ვინტოვკა ჩაგვაბარეს. აგრეთვე იქვე ჩხრეკის დროს ვნახეთ ტყვიისმფრქვეველის ნაწილი და ყუმბარები. ისინი უარს აცხადებდენ იმაში მონაწილეობაზე და სოფ. ჭვინთაზე გვითითებდენ. საზოგადოთ ამ სოფლებში დიდძალი იარაღი იყო. გენ. აბხაზიშვილიც ჩვენთან არის. საღამოს 4 საათზე ჩვენ სოფ. ჭვინთაში შევედით. პირველად ამ სოფელში 15 კაცი ზ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით შევედით. ულტიმატუმი წავუყენეთ იარაღის აყრის შესახებ. 6 საათზე სხვა ბატალიონებიც აქ მოვიდნენ. წინ სოფ. ელიაწმინდაში და კარაშუბანში უნდა შევსულიყავით, რომ მოულოდნელად სიმაღლე „78"-დან დაგვიშინეს ტყვიები. ჩვენმა გვარდიელების ხელმძღვანელებმა ამოირჩიეს პოზიციები და სოფელში დავრჩით. საკვირველია, ორჯერ დავამარცხეთ და კიდევ არ ისვენებენ. ასეთი შეუპოვარი ხალხი იშვიათად გვინახავს. მაშვენიერების ერთი დამარცხება შარშან კოლორის ხიდთან საკმაოა გამ და სოხუმის ალვისა და აქ კი ერთ მთას არ გვანებებენ უბრძოლველად.

9—10 მარტი.

ამ დღეებში ჩვენ 80 გვარდიელი დაგვიჭრეს და ორიც მოგვიკლეს. ბრძოლამ პოზიციონური ხასიათი მიიღო. საჭირო იყო მტრის ზურგის უკან შემოვლა და სიმაღლე „876" და „1016" აღება. ამით მტერი საბოლოვოდ დამარცხდებოდა და აბასთუმანში შესვლაც შეიძლებოდა. სოფ. ჭვინთა ყველა სოფლებზე მდიდარია. არის გლეხი, რომელსაც ასობით ცხვარი ჰყავს. ხბო-ტყვე ხომ უთვალავი. ეს სოფელი თათრებით არის დასახლებული და მათი თვალებიც უფრო ოსმალეთისკენაა მიმართული.

11 მარტი.

მე 4 ბატალიონს წილად ხვდა, „ობხოდზე" წასვლა, ჩვენმა გვარდიელებმა შორაპნელებმა, სამტრედიელებმა და მეგრელებმა გასწიეს ღამის 12 საათზე მაღალი მთებისაკენ. მთელი ღამე თოვლიან მთებში მოგვიხდა დაუსვენებლივ სიარული. სამარისებური სიჩუმე მეფობდა ირგვლივ, ხან ერთ მთას ავივლიდით და ხან მეორეს, დიდ გაჭირვებას განვიცდიდით. დილის 10 ს. დავიჭირეთ „1016" და „876" სიმაღლეები. დანარჩენ ბატალიონებს კი ამავე დროს წინ წაეწია და აბასთუმნისაკენ გასწიეს. საღამოს ჩვენ სოფ. ანში შევედით. ანი ცეცხლის ალში იყო გახვეული, იწვოდა აგრეთვე სხვა სოფლები ცხრუტი და სხვა. მწარედ დაქანცულებს მკვდრებივით მიგვეძინა.

12 მარტი.

დილას სოფელი დავიარე. ყველგან სიცარიელე და ჯოჯოხეთი. ერთ ოჯახში სახლის კედელზე დამახასიათებელ სურათს მოვკარი თვალი. კედელზე პაპიროსის ქაღალდი არის მიკრული. ზედ სურათია ქართველი მწერლების, შოთას, ილიას, აკაკის, რაფიელის და ნ. ბარათაშვილის, ყველას თვალები აქვს დაჩხვლეტილი, იმის გვერდით კი ლემაიწის რამოდენიმე ბურთია, სადაც ყველა ქვეყნის მაჰმადიანების ტიპებია წარმოდგენილი. მათი სურათი თითქოს ამბობს, რომ არსებობს ქვეყანა, ქვეყანა შურისა და სიბნელისა და თქვენ განათლებული ქვეყანაც გეშინოდეთ. შემდეგ კიდევ ვნდაც ფეშების სურათებია გამოკიდებული, ის კი ხელუხლებლად არის.

13 მარტი.

სოფ. ცხრუტში ვართ. მთელი აბასთუმნის ძვირფასი ნივთები აქ არის ოჯახებში განბნეული, ძვირფასი სავარძლები, საგარდერობის ტახტები, სარკეები, წიგნები და როიალები თითქმის თვითეულ სახლში იპოვნი. სიმდიდრე აბასთუმნის ასე უხვათაა არის გაფანტული სოფლად. აბასთუმანი ქვა-ქვაზე არის გაძარცული. მისი ძვირფასი სადგომები, აბანო, ბიბლიოთეკა გაცამტვერებულია.

14 მარტი.

ჩვენმა სახალხო გვარდიამ გაათავა თავისი ამოცანა ოპერაცია ჩვენი დასრულდა. მხოლოდ რეგულიარულ ნაწილებს არ გაუშვებიათ ჯერ ფოცხოვი, სადაც იწყებოდა სათავე ახალციხის ტრაგედიისა. ჩვენი მიზნებისა საჭირო იყო. მარჯვენა ფლანგი უნდა გაგვემაგრებინა ჩვენ და საშუალებას მივცემდით გაეწმინდათ ფოცხოვის რაიონი. ჩვენ კი სოფლებში იარაღი უნდა აგვეყარა. ავყარეთ იარაღი სხერთს, უდეს და სხვა სოფლებს. ყველა სოფლებში ვნახეთ სხვადასხვა ნივთებს აბასთუმნიდან გამოტაცებულს. გენერლის ბრძანებით გავწიეთ ფოცხოვის რაიონისაკენ.

15 მარტი.

ფოცხოვის რაიონი სამხედროდ გა-

იქმნენდა. საზღვარიც გადასწორდება და ამით საქმეთ გათავდება ოპერაცია. ახალციხის მაზრაში მტერი დამარცხდა ფიზიკურად, საჭიროა ეხლა მორალურად მათი დამარცხება. საჭიროა მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღოს ყოველთვის ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ. სალი ადმინისტრატიული აპარატის მოწყობა, კანონების გავრცელება ხელს შეუწყობს ახალციხის მაზრის სიმშვიდის ჩვენსკენ გადმოხრის და ჩვენი მიზანიც ეს არის. სხვადასხვა ადგილებში ფოცხოთ, სოხუმში, ნატანებში, საჩხერეში, ახალციხეში, და ამდენი გაჭირვება არსად გადაგვიტანია. ჩვენმა გვარდიელებმა გმირულად აიტანეს ყოველგვარი გაჭირვება დემოკრატიის და სამშობლოს საკეთილდღეოთ!..

გალო კაპანაძე.

სახალხო მასწავლებელთა შორის

(წერილი გურიიდან).

28 მარტს ქ. ლანჩხუთში შესდგა კრება ლანჩხუთის ფილიალურ განყოფ. მასწავლებლებისა. კრებას, რომელსაც დაესწრო 120 წევრამდე, გახსნა მასწავლ. ოლიშარიას თავმჯდომარეობით.

სანამ დღის წესრიგს გამოიმუშავებდენ, კრებამ შესაფერი მისალმება დეპეშა გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიის უზენაეს ნების ყოფას გამომხატველს—დამფუძნებელ კრებას და რესპუბლიკის დამცველ ჯარს და სახალხო გვარდიას. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) მასწავლებელთა დღევანდელი მდგომარეობა, 3) ჯამაგირების შესახებ, 4) სამაზრო „ცენტრის" შექმნის საჭიროება, 5) უცენზო მასწავლებლები, მოძრავი ბიბლიოთეკა, მომხმარებელი ამხ. დაარსება, საშუალო სკოლების მასწ. წარსული წლების ჯამაგირები, 6) სამასწავლებლო სახლი ქ. ქუთაისში, 7) პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების" შესახებ და 8) საწევრო გადასახადის გადიდება და მიმდინარე კითხვები.

გამგეობამ მოახსენა კრებას, რომ მან ამოსწურა საშუალება, რომ ჯამაგირების საქმე მოეგვარებინა, მაგრამ ამაოდ. პირველი კითხვა, როგორც უმთავრესი დღის წესრიგში დასმულ კითხვებთა შორის იწვევს ხანგრძლივ კამათს. კამათის დროს ირკვევა სახალხო მასწ. უმწეო და აუტანელი მდგომარეობა თანამედროვე საზღაპრო სიძვირეში 6 თვის განმავლობაში ჯამაგირების მიუღებლობის გამო. დამსწრე მასწავლებლები გაიყვნენ ორ ბანაკად: ერთნი მოითხოვდნენ აუტანელ პირობების გამო სკოლის მიტოვებას და სხვა საარსებო სახსრებისთვის მიმართვას, ხოლო დიდ უმრავლესობას ხსენებული საშუალება მიაჩნდათ არსებულ პოლიტიკურ პირობებში მეტად მავნედ და მიზანშეუწონლად, თუმცა 5—6 თვის განმავლობაში არსებულ სიძვირეში უჯამაგიროდ დარჩენა აუტანელ მდგომარეობაში აყენებს ყველას. საკვირი არ გადაჰკრილიყო, რომ კრებაზე გამოცხადდა ოზურგეთის მაზრის სახ. სკოლების ინსპექტორი ამხ. წითლიძე, რომელიც აცნობა კრებას იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლების მეოხებით დაუგვიანდათ მასწავლებლებს რამოდენიმე თვეობით ჯამაგირები. მან გააცნო მასწავლებლებს ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის მთავრობისადმი გაგზავნილი დეპეშის შინაარსი, რომლითაც ერობის გამგეობა ითხოვს სასწრაფოდ ჯამაგირებს მასწ. დასაკმაყოფილებლად.

ა. წითლიძემ მოაგონა დამსწრე მასწავლებლებს გურიის სახალხო სკოლების და მასწავლებელთა წარსული და აღნიშნა, რომ სახალხო მასწავლებელთა მოღვაწეობა, მის ნივთიერ მდგომარეობის მიხედვით, მუდამ მსხვერპლი იყო სოფლად და მოუწოდა კრებას მოწინავის სრული შეგნებით და გათვალისწინებით გადაეწყვიტათ წამოყენებული კითხვა; თანაც დასძინა, რომ ინსპექციას და ერობას მასწავლებელთა სასწრაფოდ დასაკმაყოფილებლად გადადგმული აქვს შესაფერი ნაბიჯები. ამის შემდეგ კრების უმრავლესობამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია სხვათა შორის, რომ მასწავლებლები არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას ანგარიშს უწევენ და უკანასკნელ ენერგიას და მოთმინებას იჩენენ და მოელიან აღთქმულ დაპირების დროზე შესრულებას. კრება ავალებს ამხ. ნ. იმნაიშვილს 25 მარტის ოზურგეთის სამაზრო ხმოსანთა ყრილობის სხდომაზე წარსდგეს და გააცნოს მასწავლებელთა დღევანდელი უმწეო მდგომარეობა. ჯამაგირების გადიდების შესახებ კრება აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ირჩევს საგანგებო პირს კრებაზე და ავალებს ერობის კრებაზე 25 მარტს იშუამდგომლოს ჯამაგირების გადიდების შესახებ. კრება ანდობს ერობას, რომელიც არის იანვრიდან მთელს მაზრაში ფაქტიური ხელმძღვანელი სკოლებისა, თანამედროვე სიძვირის მიხედვით გადიდოს მასწავლებელთა დღევანდელი მცირე ჯამაგირები.

სამაზრო სამასწ. „ცენტრის" შექმნა კრებამ დღევანდელ ცხოვრების გარემოების ხანაში აუცილებლად და სასწრაფო საქმედ აღიარა, რისთვისაც კრებაზე არჩეულ იქმნენ 25 მასწ. დელეგატებათ. სულ არჩეულ იქმნენ კრებაზე 5 დელეგატი: ე. ოლიშარია, რ. ჩხაიძე, მ. სამსონაძე, პ. იმნაძე და ა. ჩხაიძე. დელეგატები არჩეულ იქნებიან ოზურგეთის მასწ. კავშირების სხვა ფილიალებისაგანაც, რომელნიც მოკლე ხანში შეიკრიბებიან ოზურგეთში და შეიმუშავებენ წინასწარ კითხვებთან ერთად „ცენტრის" წესდებას და სხვა საკითხებს. ხსენებულ დელეგატთა ყრილობას, როგორც მასწავლებელთა სრულუფლებიან ორგანოს, დაევალა გადასწყვიტოს სამაზრო „ცენტრში" შემდეგი კითხვები: უცენზო მასწავლებლების დაშვება, წლევანდელ მასწავლებლობა სკოლებში, სამხატვრო სამ. ჯაგრო, მასწავლებელთა კოოპერატიული ამხ. დაარსება, მასწავლებელთა სახლი და საშუალო სკოლების მასწ. წარსულ წლების მიუღებელ ჯამაგირების შესახებ. პედაგოგიურ ჟურნ. „განათლების" შესახებ კრებამ ერთხმად დაადგინა: ჟურ. „განათლება", როგორც ერთად ერთი პედაგოგიურად და სწავლებად გამართულებელი ორგანო ქართველ სახალხო მასწავლებლებისა, სავალდებულოდ იქნას გამოწერილი ყველა მასწ. ელემენტისათვის და საჭირო ხელის მოსაწერი ფული ჯამაგირების მიღების პირველი დღიდანვე გამოერიცხოს მასწავლებლებს ჯამაგირების დამრიგებლებისაგან. ამ საქმეს უხელმძღვანელოს ფილიალის გამგეობამ და სამაზრო „ცენტრმა", ანალოგიური დადგენილება გაატაროს მაზრის სხვა ფილიალებში. ხსენებული დადგენილება ეცნოს ფართო მასას მასწავლებლების საყურადღებოდ.

საწევრო გადასახადი კრებამ 20 მანეთამდის გადიდა და მისცა გამგეობას მისი დროიანად აკრეფა ზომა აღნიშნულ წესით.

ხიდისთავის მასწავლებელთა გადადგმულ ნაბიჯებს და მათ მოწოდებას მასწავლებლები გულისტკენით შეხვდნენ და დაავალეს გამგეობას აცნობოს ხიდისთავის რაიონის მასწავლებლებს კრების დიდი უკმაყოფილება სეპარატიულად გამოსვლისათვის. კრებამ აგრეთვე იქონია მსჯელობა სხვადასხვა მიმდინარე კითხვების შესახებ და დაიხურა.

ხტ. ნიკოლაიშვილი.

ს.-დემ. პარტიაში

ოზურგეთი. პარასკევს, 28 მარტს მეცხრე კოლექტივის ბინაზე მოხდა წევრთა საერთო—კრება წესრიგის შემუშავებამდი მოხდა მც. კოლექტივის მდივნის არჩევა. არჩეულ იქნა ამხანაგი შ. გომართელი. დღიურ წესრიგში ორი საკითხი იყო. ამხ. ტალახაძის მოხსენება და სანიტარულ მდგომარეობის შესახებ. ტალახაძემ კრებას გააცნო კოლექტივის ხუთშაბათის კრებაზე გაკეთებული მოხსენებები ახალციხის ფრონტის შესახებ და თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვაზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ჰგმობს ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვას. სანიტარულ მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა საბჭოს წევრმა ექ. ვეფხვაძემ. ამ საკითხის ფართოდ გასაშუქებლად გადაწყდა მოწვეულ იქნეს უახლოეს საერთო კრება, რომელზედაც უნდა აირჩეს სანიტარული ზედამხედველნი. მიღებულ იქნა რეზოლიუცია სანიტ. ექიმის შესახებ: „კრებამ მოისმინა რა ამხ. ვეფხვაძის მოხსენება უბნის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ, დაადგინა შემდეგი: სანამ საერთო კრება შესდგებოდეს, ვინაიდან სენი დღითი დღე ვრცელდება, ეთხოვოს სანიტარიის ინსპექტორს დაგვინიშნოს ექიმი, რომელიც იმუშავებს მე 8 უბნის მცხოვრებთა საკეთილდღეოთ.

შ. გომართელი.

პროვინცია

ფოთი. კვირას, 30 მარტს სოც.-დემ. მუშათა კლუბის დარბაზში ამხ. ინწკირველის თავმჯდომარეობით შესდგა ფოთელ მოხ. საზ. „ეკონომიის" წევრთა წლიური კრება. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებით დიდი კმაყოფილნი დარჩნენ. გასულ საანგარიშო წელს კოოპერატივს დარჩენია წმინდა მოგება 236,749 მან. 26 კ. და ეს იმ დროს, როცა საქონელზე მოგება მხოლოდ 6—7 პროცენტი. გამგეობას და კოოპერატივში მოსამსახურე პირებს საქმის სიყვარული და უნარი გამოუჩენიათ და თავის დროზე მომხმარებელთათვის მიუწოდებია საჭირო სანოვაგე და ნივთები. კრებამ გამგეობას დიდი მადლობა გამოუცხადა და შრომის ჯილდოთ თავმჯდომარე ამხ. ტულუშს მისცა ოთხი ათასი მანეთი, გ. ნადარეიშვილს ორი ათასი, ხოლო დანარჩენ ექვს წევრს ათას-ათასი. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადასტურა გამგეობის წარმოდგენილი გეგმა და მოგებიდან ასე გაანაწილა: სახალხო სახლს 50,000 მ. (ამავე დროს დაევალა გამგეობას მისი აგების თაოსნობაც იკისროს), გვარდიელთა ადგილობრივ შტაბს 10 ათასი მან., ჯარისკაცთა კულტურულ-განმანათლებელ წრეს 5 ათასი, ქართველ ლტოლვილებს 3 ათასი, ადგილობრივ შრომის ბირჟას 5 ათასი, პარკის სახალხო სახლს 3 ათასი, სამკითხველოს ცენტრში 3 ათასი, წევრთა ქვრივ ობლებს 3 ათასი, დიდი ჯიხძულის სამკითხველოს 3 ათასი. დანარჩენი თანხა მიემატოს სათადარიგოს. შემდეგ აირჩიეს ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია, გამგეობაში რამოდენიმე ძველი წევრი დატოვეს.

დამსწრე წევრი.

ხაშურხაყანი. 23 მარტს შესდგა ცხირო-გალის საზოგადო კრება; ყრილობას დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი გრ. ცინცაძე, რომელმაც ყრილობას გააცნო დღევანდელი მდგომარეობა. ყრილობამ ყურადღებით მოისმინა მოხსენება და შემდეგი დადგენილება მიიღო: ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის მთავრობას და ყოველნაირ დახმარებას პირდება მას რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლაში, საიდანაც არ უნდა იყოს იგი. აგრეთვე ცხირო-გალის საზ. ყრილობა მხურვალე სალამს უგზავნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს და უსურვებს მას ხალხის საკეთილდღეოთ ნაყოფიერ მუშაობას.

დეზერტირების შესახებ ყრილობამ დაადგინა: მიეცეს მშობლებს წინადადება, რომ ერთი კვირის ვადაში გაგზავნონ თავიანთი შვილები ჯარში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათაც პასუხი მოეთხოვებათ. კოოპერატივის შესახებ ყრილობამ დაადგინა: ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ ყოველივე ანგარიში და განახლებულ იქნას კოოპერატივში ვაჭრობა. ყრილობამ ამ საქმისთვის აირჩია სამი კაცისაგან კომისია.

გამოვლილი.

ახალციხის მაზრაში. ქართველ მუსულმანებს, ახალციხის და ახალქალაქის მცხოვრებლებს, წინამძღოლობდენ თურქი ოფიცრები, ბაშიბუზუკები და უნტეროფიცრები. ამით კი სარგებლობენ თავიანთ საქმეებში იქაური ბეგები. ხალხს კარგად არ ესმის თავიანთი მოვალეობა, სანამ ისინი გაიგებდენ, მანამ ბეგები თავის საქმეს იკეთებენ.

კარხანის საზოგადოებაში, სოფელ წარხანიდან მოლა სელა იქნა ამორჩეული ახალციხის საზოგადოებაში და გაგზავნეს ყარსში. დღეს ქვაბლიანის ხალხს რომ კითხო, თუ გყავთ დამხმარე თქვენი, გიპასუხებენ, რომ ოცი ათასი კაცი მეომარი კიდევ გვყავს, არავის შიში არა გვაქვს. დადიოდა ურჯულოები თაბეგოვი სოფლებში და ძალით გამოჰყავდა ხალხი.

ახალციხის მაზრის კომისარმა, გაგზავნა ქვაბლიანის რაიონში კომისრათ პორუჩიკი იგითხანოვი, რომელიც ყოველ მიზეზებზე იღებდა ქრთამს. როდესაც თათრებმა ახალციხე ხელთ იგდეს, მაშინ ყველა სამხედრო პირები დაატყვევეს და იგითხანოვი კი დასეირნობდა ახალციხის მაზრაში თავისუფლად და თათრების მხარს უჭერდა. ახლა კი მთელ ხალხს ძარცვავს. უნდა აღიკვეთონ ასეთი პირები.

X.

თეატრი და მუსიკა

კვირას, 30 მარტს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა მოწაფეთა უფასო კონცერტი ი. ფიშბერგის (სკრიპკა), ივ. სარაჯიშვილის და ქართ. სამუსიკო საზოგადოების კვარტეტის მონაწილეობით.

ეს მეორე უფასო კონცერტია მოწაფეებისათვის და საერთოდ ფართო დემოკრატიისათვის ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა, რომელიც ასე მედგრად და სისტემატიურად იღწვის ხალხის კულტურულ განვითარებისათვის.

მატერიალურად ღარიბი, ყოველგვარ დაბრკოლებით შეზღუდული, მაგრამ სულით და რწმენით მდიდარი ქართ. სამუსიკო საზოგადოება ენერგიულად ანგრევს იმ უზარმაზარ ყინულს, რომელიც ხალხს ბელტად აწევს. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ქართ. სამ. საზ. გადალახავს ამ ბორკილებს და ჩვენ დემოკრატიას მოჰფენს კულტურულ და ესთეტიურ სხივს. არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავსტოვოთ ის მოვლენა, რომ რუსული სამუს. საზოგადოება (კონსერვატორია) ფასს აძლევინებს იმ დარბაზისას, სადაც სხვა შკოლების მოწაფეებთან მიწვეულნი არიან კონსერვატორიის შეგირდებიც, რათა მოისმინონ სახელოვანი არტისტები და სერიოზული კონცერტები. ჩვენის რწმენით, არამც თუ დარბაზის ქირა არ უნდა გამოართვას რუსულ სამუს. საზ. ქართულ სამუს. ს—ბას, არამედ, შეუერთდეს, როგორც ხარჯში აგრეთვე იდეურად და ამით შეეძლოთ მისცენ საერთოთ მოწაფეების მუსიკალურად განვითარებისა და გაშენებისა. ამას მოითხოვს თვით ლოღიკა და დანიშნულება უმაღლეს სამუსიკო საზოგადოებისა.

კონცერტს ბევრი მოწაფეები დაესწრო და დიდ აღტაცებით მოისმინა.

ქართ. სამუს. საზ. ამნაირ კულტურულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ნაყოფსაც დიდსულს გამოიტანს.

ესტეტი.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" 73 ნომერში მოთავსებული წერილით საგარეჯოს უბნის კომისარი მაქრო ჯაფარიძე მიწვევს სამედიატორო სასამართლოში; მე თანახმა გახლავარ მას და ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ: საგარეჯოს სახ. გვარდიის რწმუნებულს მაგიერს ივანე ქაიხოსროშვილს და ნაძალადევის რაიონის შტაბის წევრს გრიგოლ ძაძამიას. საქმე გაირჩეს საგარეჯოში აპრილის 10, საღამოს 5 საათიდან.

საზ. გვარდ. განო კვეთუაშვილი

განცხადებანი

განცხადება

ქალაქ ოზურგეთის დაცემის დროს ჯარში მსახურობდა ალექსანდრე ცქიტანიძე და ავათმყოფობის გამო წავიდა ქუთაისის საავათმყოფოში დასაწოლად. თუ ვინმემ რამე იცით ვსთხოვთ გვაცნობოთ სადგურ სუფსაში ბესარიონ მითაიშვილს.

(3—2)

განცხადება

ბავშვებისა და ქალური შინაგანი ავადმყოფობისა ექიმი ქალი ვერა ანდრიას ასული გიორგიანოვის-ბიძინოვისა იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით: 9 საათ. 11-საათამდის საღამოთი: 5 საათ. 7 საათამდე. ნაძალადევი—ჩერქეზოვის ქუჩა № 161

(6—3)

ქართული ლატარია

დავანებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავე
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვეგვიანდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
ეხლა ლექსი აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოგვეშველეთ მალე
ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალოს,
ბილეთების კასა!
მსურს მუდამ ვუმღერო,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მოაშველე ერო,
ლატარიას ქართულს".

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ელექსის და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიგებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

კბილის ხაქიმი კაბინეტები
თედორე სამსონის ძე ცხოველიძისა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

ექიმი
ნ. ლ. ცერიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, სამშობიარო და ქალურ სნეულებებიან ავათმყოფთ დილიდან 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი—ქალი
რ. გ. შიმლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი
პ. ნ. გოგიტიძისა
ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკის სამხ. სამედ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606" და „914" შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კაჩუბეევის ქუჩა, № 11.

ექიმი ა. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
კ. თ. ცუეშელაშვილის
სამკურნალო კაბინეტი
მიხეილის (№ 55) და ბებუთის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესახვევი ბებუთის ქუჩიდან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—12)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალისა და სადასტაქრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
კირპიჩნი ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ხრონიკული სუფუნება) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავათმყოფობანი, „606" და „914" შეშხაპუნება. მამაკაც ავათმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი
ნ. გ. გეგეჭკორი
სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, გორდანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი
ანასტასი ლევოვიჩი-ორლოვსკი
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—25)

ექიმი
ბესარიონი კოკოვი
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—1 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი
კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

დოქტორი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 82.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე
ლეჩულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5— საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი
ალ. გ. მაჭავარიანი.
იღებს სადასტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ადამოვისა № 111 (მე-2 ფლიგელი) ვგლის ტელეფონი № 49

თფილისის მეპურეთა საზოგადოება „პური"
ყიდულობს სხვადასხვა ხარისხის ფქვილს პურისას, სიმინდისას და სხვ. საზოგადოების კანტორა მოთავსებულია დიდომთავრის ქუჩაზე № 12 (გუბკინისა და კუზნეცოვის ყოფილ კანტორაში), ღია დილის 9—3 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა. (3—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
ნ. ნ. ჟორდანიას წიგნი რუსულ ენაზე
„სიტყვები და მოხსენებანი"
(კრებულში მოთავსებულია ყველა სიტყვები და მოხსენებანი წარმოთქმული 191 წ. 1 მარტიდან—1919 წ. 1 მარტამდე)
ფასი 12 მანეთი. (5—1)

მუშათა საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტის სამანდატო კომისია სთხოვს ქ. თფილისის მუშათა საბჭოს ახალ შემადგენლობის წევრებს განაახლონ თავისი ძველი მანდატები.
ძველი მანდატების შეცვლა ახლებზე ხდება სასახლეში მე 18 № ოთახში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ძველი მანდატები ითვლება გაუქმებულად. (3—1)

ნავთი
თფილისის ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილება დამატებით აცხადებს, რაიონულ და სახლის კომიტეტების საყურადღებოთ, რომ ნავთის მისაღებათ 1-ს გარდა გამოიყენება 2 და 3 სათადარიგო ტალონები 1-ლი სერიის შაქრის ბარათისა. ნავთის ფასი: 34 მ. 25 კ. ფუთი. ხოლო 53 მანეთად ფუთი ნავთი ეძლევა ყველას უბარათოდ და რაოდენობის განუსაზღვრელად. (3—1)

ქართული კლუბი
კვირას, აპრილის 6-ს, დილ. 11 საათზე დანიშნულია კლუბის დარბაზში კლუბის
წევრთა წლიური კრება
კრების საგანია: 1) განხილვა და დამტკიცება 1918 წლ. ანგარიშისა და 1919 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა. 2) მიმდინარე კითხვები. 3) არჩევნები: ჭამასახლისთა და მათი კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა; კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. კრება კანონიერად ჩაითვლება კლუბის წევრების ძალით რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (1—1)

ქართული აქციონერული საზოგადოების
„ოქროს ვერძი"-ს
გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას ამა წლის 4 მაისს, დილის 11 საათზე, გამგეობის დარბაზში (ქ. ფოთი, ლიაღანის და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, ციციშვილების სახლი) დანიშნულია საზოგადოების
აქციონერების წლიური კრება
რომელზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები: 1) წესდების § § 4, 6, 8, 12, 17, 2 32, 41 და 57 შეცვლა, 2) განხილვა წლიური ანგარიშისა და დივიდენდის განაწილება, 3) გამგეობის ორი წევრის არჩევა. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ თუ რაიმე მიზეზით დანიშნულ დღეს, 4 მაისს, კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში კრება უნდა ითვლებოდეს მოწვეულად იმავე დროზე და ადგილას მეორეთ, კვირას 18 მაისს. (1—1)

„[illegible] სტამბა [illegible], [illegible] „№ 1.